ლელო

№ 38
(11 187)

16 – 19 მაისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხურცილავა წესრიგს ამყარებს

ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ დისციპლინის დარღვევის გამო კლუბის ხელმძღვანელობის წინაშე აღძრა საკითხი ნახევარმცველის დავით პეტრიაშვილისა და თავდამსხმელის კლიმენტი წიტაიშვილის ტრანსფერზე დაყენების შესახებ. როგორც გავიგეთ, ხურცილავა კიდევ აპირებს გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის დათხოვნას.

სფფ-ს აღმასკომი კვლავ უგრძნდება „დინამო“ – „მრეტების“ დავას

„ლელო“ იტყობინებოდა, რომ ამას წინათ სფფ-ს აღმასკომზე თბილისის „დინამოს“ კლუბის ხელმძღვანელობამ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებით ახალი გარემოებები გამოამზეურა, რამაც აიძულა ფედერაცია კვლავ დაბრუნებოდა „დინამო“ – „მრეტების“ დავას. ახლა საქმეში იურისტებიც ჩაერთვნენ და მალე სფფ-ს აღმასკომი თავის საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს.

ყველაფერი 28 მაისს გადაწყდება

უკვე ამ შემოდგომით საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება, ხოლო თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე არანაირი სამუშაოები არ ტარდება, ვინაიდან უეფამ ვერადავერ გადაწყვიტა მათი დაფინანსების საკითხი. სტადიონის დირექტორის ნუკრი კაკილაშვილის თქმით, ყველაფერი 28 მაისს გადაწყდება. ამ დღეს კიშინიოვში ჩატარდება უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს სხდომა, სადაც განვითარებადი ქვეყნების პრობლემებზე იმსჯელებენ. სავარაუდოდ, უეფა თბილისის სტადიონის რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის 1 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს გამოგვიყოფს და პირველ რიგში ამ თანხით სასწრაფოდ დაამონტაჟებენ კიდევ 20 ათას სავარძელს.

კარპოვის უახლოესი გეგმები

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ დღეებში ლას-ვეგასიდან (აშშ) დაბრუნებულ მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვის მიერ მოსკოვში ჩატარებული პრეს-კონფერენციიდან.

● *კირსან ილიუმჟინოვმა წინადადება წამოაყენა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი ლას-ვეგასში ან ატლანტიკ-სითი-ში ჩატარდეს. თქვენი გამგზავრება აშშ-ში ამასთან ხომ არ იყო დაკავშირებული?*

— ლას-ვეგასში ჯერ არ იცნობენ კირსან ილიუმჟინოვის გეგმებს, მაგრამ წინასწარ დიდ სიხარულს გამოხატავენ.

● *გამოდის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის შემდეგ სრულიადაც არ დაგისვენიათ?*

— ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თანხმობა განვაცხადე, მეთამაშა ვიკ-ან-ზეეს საერთაშორისო ტურნირში. თამაშის სურვილი კი მატჩის შემდეგ საერთოდ არა მქონდა. ისე რომ, ლოზანის შემდეგ საერთოდ არ დამისვენია. აი სწორედ ახლა მინდა ეს გავაკეთო და გონზე მოვიდე.

● *შემდეგ?*

— მაისში უნდა ვეწვიო ჩინეთს; ეს ამ ქვეყანაში ჩემი უკვე მეორე ვიზიტი იქნება. შარშან, პეკინში რომ ვიყავი, მეტად საინტერესო ცნობებს გავეცანი. 5 წლის წინათ ჩინეთში საჭადრაკო ფედერაციის მიერ რეგისტრირებული 200 ათასი ოფიციალური წევრი იყო, ახლა კი უკვე მილიონზე მეტია. რამდენიმე წლის შემდეგ ეს რიცხვი 5 მილიონს მიაღწევს. ისე რომ, ჩინეთის საჭადრაკო ფედერაციას აქვს შესაძლებლობა მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლევარი გახდეს. ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ჭადრაკის განვითარება ჩინეთში გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ფეხბურთისა.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა *საპატიო სიგელით* დააჯილდოვა საქართველოსა და აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი *შალვა მიქელაძე*.

პირველი ჯგუფი
XXI და XXVI ტურის გამოტოვებული მატჩები

„გურიამ“ უნდა ილოცოს...

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — გურია (ლანჩხუთი) 1-0

ვიტ-ჯორჯია: ჭანელიძე, ილურიძე, კევლიშვილი, ჭოხონელიძე, ბურდული (ლამბაშიძე, 87), დვალიშვილი, ქუთათელაძე (რუხაძე, 68), მაისურაძე, ნოზაძე (ალავიძე, 90), ჭუმბურიძე, გოჩაშვილი.

გურია: გოგუა, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი (ჭაშიაშვილი, 72), განევი, ჩხეტია (ბაბუნაშვილი, 86), ბუკია (პატარაია, 68), ბულუხია.

გოლი: გოჩაშვილი (84)

გააფრთხილეს: კევლიშვილი, ბუკია, პატარაია.

მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მეტოქეებისთვის მეტად პრინციპული გახლდათ, გუნდებმა დიდი შემართება და თავგანწირული თამაში მაინც ვერ გვიჩვენეს. თავგამოდება განსაკუთრებით გურულებს მართებდათ. თუმცა, თავს ზემოთ ძალა როცა არაა, ძნელია რამეს გახდე, მაგრამ ლანჩხუთელთა დიდ ტრადიციებს ხომ გაფრთხილება ესაჭიროება...

შეხვედრის დებიუტი, ისევე როგორც მთელი მატჩი, მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. გოლის გატანის კარგი მომენტები გააცუდეს გოჩაშვილმა, ნოზაძემ, ჭოხონელიძემ, ლანჩხუთელები კი ვერც კონტრშეტევებით „კბენდნენ“ თბილისელებს. მეორე ტაიმში დიდი არაფერი შეცვლილა — „ვიტ-ჯორჯია“ უნიათოდ უტევდა, „გურია“ დაცვაში უშეცდომოდ მოქმედებდა, მაგრამ მატჩის ბოლოს თავი იჩინა მასპინძელთა უპირატესობამ „ფიზიკაში“ და ჭუმბურიძის პასით გოგუასთან პირისპირ გასულმა გოჩაშვილმაც „ვიტ-ჯორჯია“ სახიფათო ზონას პრაქტიკულად განარიდა. ლანჩხუთელებს კი ჭიათურელთა „საშინაო“ მარცხის შედეგად კიდეც დარჩათ შანსი პირველ ჯგუფს წაეპოტინონ.

დათო თავართქილაძე

«ლელოს» კომენტარი

ამრიგად, გამოტოვებული მატჩების ჩატარების შემდეგ, ყველა გუნდს შეხვედრების ერთნაირი რაოდენობა ორ-ორი დარჩათ. ჩემპიონობა განაღდებული თბილისის „დინამო“ პრესტიჟს გაუფრთხილდა და არაფრისმომცემი, შეხვედრა ზუგდიდში მაღალ დონეზე წარმართა. მეტად პრინციპული გამარჯვება მოიპოვეს ქუთათურებმა. ახლა ყველაფერი სფფ-ს სააპელაციო სხდომაზეა დამოკიდებული — თუ „კოლხეთი-1913“ — „ტორპედოს“ მატჩში მასპინძელთა მხრიდან არბიტრ თამაზ ლაცაბიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა დამტკიცდა, მაშინ ზღვისპირეთელებს ქულებს დააკლებენ და ქუთაისელებს მეორე-მესამე ადგილის დაკავების და უეფას თასის გათამაშების საგზურის მოპოვების დიდი შანსი ეძლევათ.

ფინალი ბრაზილიელად თბილისში ჩაბარდება



დიდი ბჭობის შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საქართველოს თასის წლევანდელი გათამაშების ფინალური მატჩი თბილისისა და ბათუმის დინამოელებს შორის, 26 მაისს, ძველებურად, დედაქალაქის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩაატაროს. მომავალში კი, შესაძლებელია, ფინალური მატჩი ნეიტრალურ მინდორზე დაიგეგმოს.

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

არანაკლები სიმძაფრეა გათამაშების ქვედა ნაწილში. მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს „ვიტ-ჯორჯიამ“ და „რუსთავმა“, ამავდროულად ჯგუფიდან გავარდნის „დიდი შანსები გაუჩნდათ“ „გურიას“ და განსაკუთრებით „მაღაროელს“. თუ გადავხედავთ დარჩენილ მატჩებს, ლანჩხუთელთა შესაძლებლობები უფრო პერსპექტიულად გამოიყურება: სავარაუდოა, რომ გურულები „დილასაც“ და „მარგვეთისაც“ მოუგებენ და 29 ქულით დაასრულებენ ჩემპიონატს. ამ ზღვარს, ალბათ, ვერ შეწვდებიან ჭიათურელები. თუმცა, ვინ იცის რა ხდება...

შეგახსენებთ, აუტსაიდერების დარჩენილი მატჩების გრაფიკს ჯგუფიდან გავარდნილი „მარგვეთის“ გარდა: *„გურია“:* შინ — „დილა“, სტუმრად — „მარგვეთი“; *„მაღაროელი“* : შინ — „მერანი-91“, სტუმრად — „ტორპედო“, *„სიონი“:* შინ — „ტორპედო“, სტუმრად — „ოდიში“; *„რუსთავი“:* სტუმრად — „სამგურალი“, შინ — „კოლხეთი-1913“.

როგორც ხედავთ, წინ ჩემპიონატის საინტერესო ფინალი გველოდება.

სხვა მატჩები:

ოდიში (ზუგდიდი) — დინამო (თბილისი) 1-5
მაღაროელი (ჭიათურა) — რუსთავი 1-3
ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი) 1-0

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბილისი)	28	23	3	2	82-12	67
კოლხეთი-1913	28	17	6	5	55-23	57
დინამო (ბათუმი)	28	16	7	5	56-18	55
ტორპედო	28	15	9	4	47-24	54
ოდიში	28	13	4	11	37-48	43
უნივერსიტეტი	28	11	6	11	34-29	39
ლოკომოტივი	28	10	8	10	30-37	38
დილა	28	11	4	13	27-30	37
მერანი-91	28	12	7	9	38-32	36
ვიტ-ჯორჯია	28	8	9	11	24-33	33
რუსთავი	28	9	4	15	30-39	31
სამგურალი	28	8	6	14	28-48	30
სიონი	28	9	6	13	43-40	28
მაღაროელი	28	6	5	17	23-57	23
გურია	28	5	8	15	26-55	23
მარგვეთი	28	2	6	20	20-71	12

შეგახსენებთ: „დინამო“ (თბ.) და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანი-91“-ს – 7.

„კოლხეთი“ გადარჩა?

ფოთის „კოლხეთი-1913“-ისა და ქუთაისის „ტორპედოს“ ამასწინანდელ მატჩში მომხდარი დარღვევების შესახებ იმსჯელა გუშინწინ სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა. ქუთათურთა კლუბის პრეზიდენტმა ბესო ჯიქიამ საჩივარი შეიტანა, რომელშიც მატჩის არბიტრ თამაზ ლაცაბიძეს უჩიოდა. თურმე, თამაში რომ დამთავრდა, ჯიქია და მასთან ერთად მყოფი სამი პიროვნება მისულა ნაცემ ლაცაბიძესთან, რომელმაც პირობა მისცა კლუბის პრეზიდენტს – თბილისში ჩავალ და სიმართლეს ვიტყვი, რომ ფოთელმა ფეხბურთელებმა ფეხებშიც მირტყეს და გვერდებშიც.

მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ კომისია ვერ დარწმუნდა იმაში, რომ მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამიტომ ხმათა უმრავლესობით კომისიამ ასეთი ვერდიქტი გამოიტანა: უდისციპლინო ფეხბურთელები – ტორპედოელი ჩხაიძე და კოლხები დაღანიძე და გიორგაძე თითო მატჩის დისკვალიფიკაციით და 50-50 ლარის ჯარიმით დასაჯეს. ორივე კლუბი 500-500 ლარით დააჯარიმეს, ხოლო „ფაზისის“ სტადიონს შენიშვნა გამოუტანეს.

ამ განაჩენით ცხადია, უკმაყოფილონი ქუთაისელები დარჩნენ, ბესო ჯიქიამ პროტესტი შეიტანა სააპელაციო კომისიაში.

საქართველოში უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა გუნდის გამოსავლენად პლეი-ოფის ბოლო შეხვედრაში თბილისის „ვითამ“ დაამარცხა რუსთავის „აზოტი“ ანგარიშით 89:88 და ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

თასები, თასები...

გერმანია. დღეს, 16 მაისს გაიმართება გერმანიის თასის ფინალური შეხვედრა. „ბაიერნი“ შეხვდება „დუისბურგს“. დუისბურგელებს დიდი იმედები აქვთ თასის მოპოვებისა. ორიოდე კვირის უკან ისინი ჩემპიონატის ბოლოს წინა ტურში შეხვდნენ ერთმანეთს და ფრედ 0-0 ითამაშეს, როგორც ცნობილია „ბაიერნი“ დატოვა მათმა იტალიელმა მწვრთნელმა ტრაპატონიმ, რაც დუისბურგელებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს გამარჯვებისათვის. მათი მწვრთნელი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ფუნკელი აღნიშნავს, რომ დუისბურგელები ყველაფერს გააკეთებენ თასის მოსაგებად, გუნდის ნახევარმცველი ვოლერტი კი დასძენს, რომ თუ ისინი მოიგებენ მატჩს, სენსაციად ჩაითვლება.

ინგლისი. შაბათსვე ლონდონის სახელგანთქმულ „უემბლიზე“, უკვე ინგლისის ჩემპიონის როლში ფრანგი არსენ ვენგერის „არსენალი“ „ნიუქასლ იუნაიტედს“ შეხვდება ამ ქვეყნის თასის ფინალში: დენის ბერგკამპი – ალან შირერის წინააღმდეგ. იმედია, შეხვედრაში ითამაშებს თემურ ქეცბაია. მაშინ თემური პირველი ქართველი ფეხბურთელი იქნება, რომელმაც ინგლისის თასის ფინალში მიიღო მონაწილეობა.

იუგოსლავია. ბელგრადში „პარტიზანმა“ იუგოსლავიის თასის ფინალში 2-0 სძლია „ობილიცს“ და მერვეჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს.

ბულგარეთი. ქვეყნის თასის ფინალში, რომელიც სოფიაში შედგა, „ლევსკიმ“ 5-0 სძლია ცსკა-ს და დაეუფლა თასს. ეს „ლევსკის“ 23 გამარჯვებაა ბულგარეთის თასის გათამაშებაში.

მოამზადა ბია ახალაძემ

დაუვიწყარი დღე, დაუვიწყარი კაცი...



ანზორ გაბიტაშვილი დიუსელდორფში „ბორუსიელთან" ბრძოლის წინ

მარცხნიდან პირველი რიგში: ანზორ გაბიტაშვილი, ზაქრო თელია, მარინე დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, ვაჟა ჟვანია, ნუკრი კაკილაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი; მეორე რიგში: თამაზ კოსტავა, რევაზ ჩელებაძე, ოთარ გაბელია, გია თავაძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით მუჯირი, გიორგი ჭილაია, რამაზ შენგელია. ზაურ სვანაძის ძმა, ვლადიმერ გუცაევი და სერგო კუტივაძე ამ ფოტოს გადაღებასას დარბაზში არარ იყვნენ. დავით ყიფიანი, როგორც ითქვა, თბილისში არ იმყოფებოდა.

ვიტალის მეუღლე მარინე თასით, რომელიც ვიტალიმ დარასელიამ გამარჯვების გოლისთვის მიიღო

1981 წლის 13 მაისი. დიუსელდორფი. ეს-ესაა მსაჯმა, ჩაჰბერა სასტვენს და ევროპას აუწყა, რომ კონტინენტის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი თბილისის „დინამომ" მოიგო „ყარლ ცაისთან" დაძაბულ პაექრობაში. კოტე მახარაძე რეპორტაჟს ამთავრებს და ხმას გვაწვდის, რომ წარმოუდგენია თუ რა ხდება იმ წუთებში გამარჯვებულთა სამშობლოში. სასიხარულო ამბავმა მართლაც, იმავე ღამეს, ფეხზე დააყენა მთელი საქართველო.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამომშვედმა ჟეშმარიტად სწორუპოვარმა მთავარსარდალმა ნოდარ ახალკაცმა, თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში იმ სანუკვარი თასის პატარა ასლები დაამზადებინა უცხოეთში და ჩაფიქრებული ჰქონდა მაშინდელი გუნდის თითოეული წევრისთვის საზეიმოდ გადაეცა საჩუქრად. სიაც ჰქონია ჩამოწერილი, ვინ უნდა მიეწვია იმ შეკრებაზე. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, მაგრამ მისი ჩანაფიქრი მისმა მეგობრებმა, განსაკუთრებით ნუგზარ მდივანმა და სფფ-ს თანამშრომლებმა მაინც შეასრულეს, ოღონდ ეგაა, ახლა ეს თავყრილობა ნოდარ ახალკაცის ხსოვნის დღედ იქცა, დანარჩენი ჯვლაფერი კი ისე გაკეთდა, როგორც „მაესტროს" ჩაფიქრებული ჰქონდა.

ეს იყო ჟეშმარიტად ამაღლებული განწყობის დღე სასტუმრო „ივერიის" საბანკეტო დარბაზში, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზა ბატონ ნოდარის უახლოესი მეგობრის დურმიშხან ცინცაძის ჩვეულმა ორატორულმა ნიჭმა. ბევრი რამ გაიხსენეს ამ შეხვედრაზე. ანზორ გაბიტაშვილმა ის ბურთიც კი მოიტანა და თვალსაჩინო ადგილზე წამოასკუპა, რომელიც მან მატჩის დამთავრებისთანავე ხელიდან გამოსტაცა არბიტრს. სხვათა შორის, როგორც ითქვა, ამ ბურთში, ამას წინათ, 5 ათასი ამერიკული დოლარი შეუძლეთიათ გერმანიიდან, მაგრამ ანზორს არ დაუთმია, უფიქრიათ ფული თუ ეცოტავათ, მაგრამ არც უფრო გაზრდილი თანხით მოხიბლულა და ძვირფას რელიქვიას სასოებით ინახავს.

„ლელოს" რედაქცია მადლობას უხდის დმიტრო ლოლაძეს ფოტოების მოწოდებისათვის.

სპორტული სკოლები

მცხეთის რაიონს მუდამ შეჰქონდა მნიშვნელოვანი წვლილი ქართული სპორტის საერთაშორისო სარბიელზე წარმოჩენაში და მათ შორის მუდამ იყვნენ ნიჩბოსნები. მცხეთა იმთავითვე საქართველოში სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენ კერად იქცა. ტრადიციები კი ათეულ წლობით მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა. დიდი ხნის ისტორია აქვს განათლების ბავშვთა და მოზარდთა ნიჩბოსნობის სპორტულ სკოლასაც, რომლის დირექტორი გურამ არქიელიძე დღეს „ლელოს" სტუმარია.

— იყო დრო ჩვენი სკოლა კარგად მომზადებულ ბიჭებს მიავლენდა საქართველოს ნაკრებში, ნიჩბოსნობა ტრადიციული სპორტის სახეობად იქცა და თითქმის ფეხისდგმიდანვე იყვნენ ნაზიარები აქაური ბავშვები ნავს და წყალს — გვეუბნება სპორტსკოლის დირექტორი.

მცხეთა — უნიჩბოსნეებოდ?

• გასაგებია, აქცენტი წარსულზე გადაგაქვთ, ნუთუ ყველაფერი მოიშალა...

— არა, სკოლა არსებობს, ოღონდ მხოლოდ 12 ჯგუფი შემოგვრჩა. ცხადია, ეს ცოტაა. ახლა სულ 80 ბავშვი ირიცხება სკოლაში.

• მსურველთა რიცხვი შემცირდა თუ სხვა მიზეზია?

— მსურველებს რა გამოლევს. პირობები და შესაძლებლობები აღარ არის. როცა მოზარდები ხედავენ, რომ ნავები და ნიჩბები მათზე უფროსებისთვისაც არაა საკმარისი, აღარც გვეტანებიან. თუ ასე გაგრძელდა, მერწმუნეთ, 2-3 წელიწადში მცხეთაში აღარ იქნება ნიჩბოსნობა. დღემდე რაც შემორჩა, უნთუზიაზმის წყალობაა, ისიც უკვე ნელ-ნელა ქრება და საცაა სულაც მინავლდება. ძალიან ცუდ დღეში ვართ.

• და თქვენ შეეგუებით ამ ამბავს?

— რა ვქნათ, მე რა შემიძლია. თითო ნავი 12 ათასი დოლარი ღირს, ნიჩაბი აკადემიური ნიჩბოსნებისათვის — 250 დოლარი. სულ მცირე 30 კომპლექტი ნავი მაინც გვინდა, რათა სასწავლო პროცესი ნორმალურად წარიმართოს და შეჯიბრებებში გამოვიდეთ. ეკიპირებაზე აღარაფერს ვამბობ.

• და მაინც ხომ მონაწილეობთ საქართველოს პირველობებში...

— ვმონაწილეობთ მოძველებული ინვენტარით, აღარც მომზადების დონეა სასურველი. მცხეთაა პირველ ადგილებსაა მიჩვეული და საპრიზო ადგილიც კი ტრადიციულად წარუმატებლად აღიქმება.

• რამდენადაც ვიცით, ადგილობრივი გამგეობა გეხმარებათ, ზოგიერთ რაიონში, თქვენგან განსხვავებით, მწვრთნელებს ხელფასი არ აუღიათ დიდი ხანია...

— ხელფასზე და შეძლებისდაგვარად დახმარებაზე სამდურავი მართლა არ გვეთქმის. დაგვპირდნენ, რომ სკოლის შენობასაც გაგვირემონტებენ. ლტოლვილებმა, რომლებიც ამ შენობაში ჩასახლდნენ, განადგურებამდე მიიყვანეს იგი. ისინი უკვე წავიდნენ და, იმედია, შენობას აღვადგენთ. იმის იმედიც გვაქვს, რომ ბენზინის შეძენის შესაძლებლობაც მოგვეცემა, რათა მოსწავლეებს წყალზე ვარჯიშზე, როგორც წესი, მოტორიანი ნავით გავყვეთ.

მცხეთა უნიჩბოსნებოდ წარმოუდგენელია. ეს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობამ, საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ფედერაციის ხელმძღვანელობამაც კარგად იციან. ალბათ საერთო ძალისხმევით პრობლემების მოგვარება შესაძლებელია.

ესაუბრა ც. ბაძრაძე

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

ჭიათურა

ჩვენი ქვეყნის ეს კუთხე მუდამ იყო და მიუხედავად სიძნელეებისა, დღესაც რჩება ქართული სპორტის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილის დედად. აქაური სპორტული სკოლები დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას უხსნიან ნიჭიერ მოზარდებს. მისასალმებელია, რომ აქაურები, დღეს რომ ბიზნესს მოეკიდნენ, უფურადღებოდ არ ტოვებენ ეროვნული სპორტის რეზერვს. მაგალითად, შპს „მორკინალის" პრეზიდენტმა ჯონი გიგანმა, ამას წინათ, მესტიელ ძიუდოისტთა პირად-გუნდური რაიონული პირველობა დააფინანსა. 16 წონით კატეგორიაში 70 სპორტსმენი იბრძოდა წარმატებისთვის. რჩეულთაგან დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები. გუნდური პირველობა დაბა მესტიელებმა მოიგეს. მეორე იყო სოფელ ლატანის ნაკრები, მესამე — მულახელები.

თბილისი

„სტუდენტური დღეები-98"-ის პროგრამით ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების პირველობა მინიფეხბურთში 18 გუნდის მონაწილეობით, მათ შორის 16 თბილისიდან იყო. ფინალურ ეტაპზე გავიდა 8 გუნდი, მათ დაემატათ ბათუმის გუნდი. ნახევარფინალში სტუ შეხვდა თსუ-ს და მოუგო 3-2, შსს აკადემიამ სძლია ბათუმელებს 2-1. ფინალში თსუ — შსს აკადემიის შეხვედრაში იმარჯვეს უნივერსიტეტელებმა 1-0. შეჯიბრება ჩატარა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ.

ბაბიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, 2. თსუ, 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

აჰა, სპორტული ეპიგრამები — ებეგ დაფიქრდნენ ცვეულის მამები...

თამაზ ებანოიძე

გაფრთხილება

ის დროა, ვინმე რომ გავაცინო,
ან გლოვის შემოვკრა რომ ზარი —
გორის სასტუმროში სამარცხვინოდ
დაუმძევლებიათ ომზარი.

არადა, რა ექნა მეპატრონეს,
ხარჯი, რაც გინდა თქვი, ხარჯია,
ვალებს ხომ ასე ვერ შეატოვებს —
და მძევლად აყვანა არჩია...

ძახილით თუნდ ყელი გამისივდეს,
ოღონდაც ყველამ მომსმენი:
ასპარეზობებზე სანისიოდ
როღემდე ვაგზავნოთ სპორტსმენნი!

დასაწერს ამ ფიქრით მივუჯექი,
ამოვალ ამ მარტივ აზრიდან:
რაც შენკენ სპორტს შორი ბუჯეტი —
ის მაინც არგუნოს ხაზინამ.

ნუ გაჭდით სპორტყოფას უსაშველოს,
თორემ, კი იქნება ახი —
სპორტის დეპარტამენტს, უსახსრებოს,
მძევლად ჩამოართვან კახი!...

ჩვენს სპორტულ საქყაროში ბუნგია ვოსკოდნელი

SOS **გარდა იმისა, რომ სპორტული ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას სპორტის დეპარტამენტი დროულად ან სულაც ვერ იღებს, თურმე სპორტულ ფედერაციებში 6 თვეა ხელფასი არ აუღიათ. ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც ჩანს მოთმინების ფიალა აივსო და ფედერაციები საპროტესტო აქციით იმუქრებიან. ჯერ მოსალოდნელია, რომ უარი თქვან ქვეყნის პირველობების ჩატარებაზე, შემდეგ კი საერთაშორისო ფედერაციებში გააგზავნიან უარს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობაზე. ეს ჯერჯერობით...**

«ლელოს» ფოტომატიანე

მარჯვნიდან: გიორგი სიხარულიძე, ნელი გურგენიძე, თამარ მანაგაძე, ვიქტორია სირაძე, ოთარ ჩერქეზია, სტუმარი მოსკოვიდან (გვარი უცნობია), ვლადიმერ სამსონაძე და შოთა ახვლედიანი — 1967 წ.

ხატავენ სპორტსმენთა შვილები და შვილიშვილები

სოფიკო ლონდაძე (ესპანეთი, ბარსელონა) „დინამოს" ყოფილი კალათბურთელის ზაზა ლონდაძის შვილი, 4 წლის.

მეგობრობა

გადარბენა დამოუკიდებლობას მიეძღვნება

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში სულ მალე კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერება — დასაბამი მიეცემა ორი სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ მძლეოსნურ გადარბენას, რომელიც ორივე ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს ამავე ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე 28 მაისია. მიღწეულია შეთანხმება, რომ აზერბაიჯანელები გვეწვევიან თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, ჩვენებთან ერთად, წითელი ხიდის გავლით, გეზს აიღებენ აზერბაიჯანისკენ და 28 მაისს ჩავლენ ბაქოში.

ღონისძიების თაოსნები და ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სეოკი და პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი". ეს უკანასკნელი ძირითადი დამფინანსებელია.

სპორტი და სახელმწიფო...

სად, რამდენი და ვისგან

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №33-36

ჭვედეთი

მოსახლეობა 8,5 მილიონია. სულ სპორტს ხმარდება 629,51 ათასი აშშ დოლარი. აქედან სახელმწიფოს წილია 64,64 ათასი, ადგილობრივი ფონდებისა — 422,09; ეროვნული ლატარიისა — 120,83; სპონსორებისა — 21,14. კლუბებში გაერთიანებულია 3 მლიონ 200 ათასი სპორტის მიმდევარი.

ჭვეიცარია

მოსახლეობა 7,3 მილიონია. საერთო დაფინანსება — 969,02 მილიონი ფრანკი. აქედან სამთავრობო დახმარებაა 59,2 მილიონი, ადგილობრივი შემოსავლებიდან — 600 მილიონი, ეროვნული ლატარიისა — 60 მილიონი, სპონსორებისა — 250 მილიონი.

დიდი ბრიტანეთი

მოსახლეობა — 58,4 მილიონი. საერთო დანახარჯი სპორტზე 1.48 მილიარდი ფუნტია. აქედან მთავრობა იძლევა 49,2 მილიონს, ადგილობრივი ფონდებიდან იღებენ 900 მილიონს, ეროვნული ლატარიიდან — 250 მილიონს, სპონსორებიდან — 285 მილიონს. სპორტული კლუბები 8.100.000 წევრს ითვლის.

კარპოვის უახლოესი გეგმები

(ცირველი გვერდიდან)

ბით უფრო ძნელია, რადგან მეტისმეტად პოპულარულია ჩინური თამაში გო. მაგრამ ამ ფედერაციებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ, ეხმარებიან კიდეც ერთმანეთს.

• გარი კასპაროვმა და ესპანელმა საჭადრაკო მეცენატმა ლინარესის ყოველწლიური ტურნირების ორგანიზატორ ლუის რენტეროსთან ერთად ჩამოაყალიბეს ეგრეთ წოდებული მსოფლიო საჭადრაკო საბჭო. თქვენის აზრით, რას უნდა ველოდოთ აქედან?

— არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ. იმიტომ, რომ ყველა გადაწყვეტილებას ერთი კაცი იღებს, შესაძლოა, ორი. ეს თავლაფის დასხმაა. ისინი ცდილობენ სახელწოდება დამცავად გამოიყენონ. ჩვენ რაღაც კერძო დუქანი კი არა ვართო, არამედ საბჭოს შევადგენთ. ისე, რომ, უარეს შემთხვევაში, სახელწოდება მაინც აქვთ.

• თქვენ კარგი ურთიერთობა გაქვთ რენტეროსთან?

— მჭონდა. მაგრამ შარშან რენტეროს მიზეზით, ეს ურთიერთობა გაფუჭდა. რენტერო მიეჩვია ისეთ მოქცევას, როგორც სურს. მაშინ, როცა ტულაში საარჩევნო კამპანიაში ვმონაწილეობდი, მან განაცხადა, რომ პირობა დავარღვიე და ლინარესის ტურნირში მონაწილეობა არ მივიღე. მე კი ასეთი პირობა არ მიმიცია. ახლა რენტერო ცდილობს როგორმე შემირიგდეს. მაგრამ ასე ვფიქრობ: მან საჯაროდ შემომიტია, და საჯაროდვე ბოდიში უნდა მომიხადოს. ამას კი დონ ლუისი მიჩვეული არ არის.

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

სტაბილობის პრემიერლიგის პირველი ჯგუფი XXVIII ტური

რუსთავი — დინამო (თბილისი) 1–1

რუსთავი: ჭორიძე, მენთიაშვილი, პატარიძე (ლაბაძე), სილაგაძე, სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, შელაძე, ჩუბუა (ბოკერია), ყიფიანი, შენგელია.
დინამო: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღვაშვილი, მ. მახარაძე, ჭიპკევიშვილი, მაჭუტაძე (ლონტი), კანტიძე, ზირაქიშვილი.
გოლები: 0-1 ზირაქიშვილი (34), 1-1 შენგელია (72).
მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

ტორპედო (ქუთაისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 4–2

ტორპედო: მამარდაშვილი, ჭობულაძე, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე (თურმანიძე), მაღლაკელიძე, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი), კვეტენაძე, ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (შენგელია), მეტრეველი.
უნივერსიტეტი: ბათიაშვილი (ნიკურაძე), ცხადაძე, ვერემჩუკი, ხარებავა, ლ. მელქაძე (ბახტაძე), შალამბერიძე, გემეზაშვილი, გუჯაბიძე (სვანიძე), მაზიაშვილი, კ. მელქაძე, როსტიაშვილი.
გოლები: 1-0 მეტრეველი (4), 2-0 დ. ჯანაშია (25), 3-0 მეგრელაძე (44), 3-1 კ. მელქაძე (45), 3-2 მაზიაშვილი (71), 4-2 მეგრელაძე (80).
გაფრთხილეს: ცხადაძე.
მსაჯი: სოსო კახიანი (თბილისი).

მარგვეთი (ზესტაფონი) — მაღაროელი (ჭიათურა) 1–2

მარგვეთი: მერკვილაძე, გოგაძე, ყვანია, გაბრიჭიძე (მაღლაკელიძე), ღონღაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, ჭურკაციძე (ბოგვერაძე), მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე (მხეიძე).
მაღაროელი: გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე, გაბრიჭიძე, ჩიკვილაძე, ბარამიძე, ბუიშვილი, სამხარაძე, შეკლაშვილი, შეყილაძე (ტეფნაძე).
გოლები: 1-0 კაციაშვილი (12), 1-1 ბარამიძე (30), 1-2 ბუიშვილი (75).
მსაჯი: გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 3–0

სამგურალი: სტურუა, ჭელიძე (ფრანგიშვილი), თევზაძე, კოღუაშვილი, გ. ჯანელიძე (ფხაკაძე), ძაგნიძე, მოსიაშვილი, ვაშაკიძე, დარსაძე (ჯანაშია), ხურცილავა, თევდორაძე.
ვიტ-ჯორჯია: დ. ჯანელიძე, ილურიძე, კვესელიანი, ჯოხონელიძე (მახარაძე), ბურდული, დვალიშვილი, ქუთათელაძე, რუხაძე (გუგუშვილი), ნოზაძე, ჭუმბურიძე (ღამბაშიძე), არჩვაძე.
გოლები: ხურცილავა (7), თევდორაძე (17), ხურცილავა (24).
გაფრთხილეს: ქუთათელაძე, დარსაძე
მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

დილა (გორი) — ლოკომოტივი (თბილისი) 3–0

დილა: ჭანტურია, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, გ. ჩიტაია (თაყაძე), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (წკრიალაშვილი), მინდიაშვილი (ბ. ჩიტაია), ხორგუაშვილი, ხოხობაშვილი.
ლოკომოტივი: ვოლკოვი, ქველაძე (ქაკუბავა), ერაძე, ბარნოვი, ბაქრაძე, ჭარცხავა, კვეტენაძე (ახალაძე), ყველაშვილი, კოტორაშვილი, გოდერძიშვილი, ზამთარაძე (ხუციშვილი).
გოლები: მინდიაშვილი (32), ხორკუაშვილი (80), ბ. ჩიტაია (89).
გაფრთხილეს: კოტორაშვილი
მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

ოდიში (ზუგდიდი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 1–3

ოდიში: სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი (ისიანი), ცქიფურიშვილი, ჯაბუა (ზედანია), ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, ბარქაია, ქოიავა (გლურჩაძე), კალანდაძე.
კოლხეთი-1913: ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, ქუნთელია, გოროზია, სუბიაშვილი, ნოზაძე (ქუტიძე), მახარაძე (პაპავა), გვასალია (კრასოვსკი), ინალიშვილი, ქობულაძე.
გოლები: 0-1 მიქაბერიძე (43), 0-2 ქობულაძე (52), 0-3 ინალიშვილი (61), 1-3 ენდელაძე (86).
გაფრთხილეს: გოროზია, ებრალიძე, გვასალია.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სნაიპერებს თავისებურად გამოავლენენ

ინგლისში მიღებულია სეზონის საუკეთესო სნაიპერების გამოვლენის თავისებური სისტემა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირების დასახელებასთან ერთად არის სხვაგვარი ჩათვლაც. აქ პირველობაზე გატანილ გოლებს ამატებენ იმათაც, რომლებიც ფეხბურთელებმა ქვეჭის თასზე, ლიგის თასზე და ევროთასებზე გაიტანეს.

მხოლოდ ჩემპიონატის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, პირველი სამი ადგილი სნაიპერთა სიაში დაიკავეს დუბლინმა („კოვენტრი სიტი"), ოუენმა („ლივერპული") და სატონმა („ბლეკბერნი"), რომლებმაც 18-18 გოლი გაიტანეს. 16-16 გოლი მოდის ბერკკამპსა („არსენალი"), ჰასელბანკსა („ლიდს იუნაიტედი") და გალაჰერზე. („ბლეკბერნი"). აი „საერთო სიაში" კი ცოტა სხვანაირი სურათია. აქ პირველი ორი ადგილი გაიყვეს პარტსონმა („ვესტ ჰემი") და კოულმა („მანჩესტერ იუნაიტედი"). 23-23 გოლი თითოეულს.

„ბრავო, შენ გუნდის რა ღირსი ხარ!"

ასეთი პლაკატი გამოაკრეს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე „ბაიერნის" გულშემატკივრებმა, ძლიერ უკმაყოფილებამ იმით, რომ მათმა გუნდმა გერმანიის ჩემპიონის წოდება „კაიზერსლაუტერნს" დაუთმო. ასე დამთავრდა ჯოვანი ტრაპატონის მეორე მწვრთნელობა მიუნხენის „ბაიერნში". როგორც მოგეხსენებათ, იგი დრეც მოღვაწეობდა ამ გუნდში, როცა ერაფერს გახდა, ოტო რეჰაგელით შეცვალა, მაგრამ შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა მაინც იტალიელი მწვრთნელის დაბრუნება არჩია.

რა თქმა უნდა, „ტრაპი" უმუშევრად არ დარჩება. ახლა მთავრდება მისი ხელშეკრულება „ფიორენტინას" მესვეურებთან. ფლორენციელებს ჯოვანი ტრაპატონი ზაფხულიდან ჩაუდგება სათავეში, მიუნხენის „ბაიერნში" კი ოტმარ ჰიცფელდი იწყებს მუშაობას.

გადაარჩინა და ... დაბოვა

თითქმის მეორე ბუნდესლიგაში გასაკვირვლად უიმედოდ განწირულ მენხენგლადბახის „ბორუსიას" კაპიტანი შტეფან ფეზებერგი მთელი სეზონის მანძილზე თანაგუნდელებისგან იცავდა გუნდს და სულ უკანასკნელ მომენტში „ვოლფსბურგთან" გამარჯვებით (და საკუთარი გოლით) გადაარჩინა კიდეც.

ეს ასეა, მაგრამ თვით კაპიტანმა გუნდში დარჩენა მაინც აღარ ისურვა. როგორც კი დამთავრდა ბუნდესლიგის უკანასკნელი მატჩი, იგი მიუნხენში გაემგზავრა, იქაურ „ბაიერნთან" ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, გუნდთან, სადაც იგი 1994 წლამდე თამაშობდა.

რეზო ნაჭყებია აცხადებს, რომ მისი დროც მალე დადგება

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ცნობილი პიროვნებაა. მართალია, უმაღლესი კლასის გოლკიპერამდე მას ბევრი უკლია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მომავალში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის.

რეზო ნაჭყებია:
დაიბადა 1972 წლის 14 აპრილს.
სიმაღლე — 183 სმ; წონა — 80 კგ.
კლუბები: „ნორჩი დინამოელი", სტუ, „შევარდენი", ამჟამად „მერანი-91"-შია.

● რეზო, ყველაფერი ან რაღაცით იწყება, ან ის რაღაც ბიძგს იძლევა, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც მეკარეობა?

— ბავშვობიდან ეზოში ვთამაშობდი და რატომღაც ყოველთვის კარში ვდგებოდი. ურიგოდ არ ვირჯებოდი. საერთოდ, ბავშვების შეგნებაში გამჯდარია აზრი, თითქოს, კარში ის დგება, ვინც მინდორზე ვერ თამაშობს. მე ასე არ ვფიქრობდი, წინაც კარგად გამომდიოდა თამაში, გოლის გატანის ალღოც მქონდა, მაგრამ რატომღაც გული მაინც კარისკენ მიმიწევდა. მერე, თანდათან, რომ იტყვიან: „სისხლში გამიჯდა მეკარეობა". ერთი სიტყვით, ეს ალბათ ჩემი მოწოდება იყო.

● რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ „მერანთან", პირობებით თუ ხართ კმაყოფილი?

— კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა. პირობებს არ ვემდური. სხვა გუნდებისგან განსხვავებით, პრემიებს და ხელფასს დროულად ვიღებთ. მალე, მართალია, თავისუფალი აგენტი გავხდები, მაგრამ კლუბმა თუ მოინდომა კონტრაქტის გაგრძელება, სიამოვნებით დავთანხმდები.

● ცნობილია, რომ მეკარის განწყობაზე დიდადაა დამოკიდებული გუნდის თამაში, ეს პასუხისმგებლობა ხელს ხომ არ გიშლით?

— საერთოდ, თამაშამდე ყოველთვის ვღელავ (განსაკუთრებით ვნერვიულობდი, როცა დიდი ხნის შესვენების შემდეგ ჯონი ჯანელიძემ ადგილი მანდო ძირითად შემადგენლობაში IX ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურში), მაგრამ იწყება თუ არა შეხვედრა, ნერვიული დაძაბულობა მეხსნება და თამამადაც ვთამაშობ. ისე, სასურველია, გუნდში ფსიქოლოგი იყოს და თამაშისთვის ბიჭები განაწყოს. ჩემთვის, პირადად, ძალზე მნიშვნელოვანია „მერანის" ყოფილი მეკარის დათო ონოფრიშვილის წამახალისებელი სიტყვები. მეკარეზე, იცით, ბევრი რამაა დამოკიდებული. ის ხომ თანაგუნდელებზე უკეთ ხედავს მოედანს და ხარვეზებს ამა თუ იმ სათამაშო რგოლში. მეკარის მითითებები, განსაკუთრებით დაცვის ხაზისთვის, აუცილებელია.

● თავს უიღბლო ფეხბურთელად ხომ არ თვლით, ვგულისხმობ ხშირ ტრავმებს, ნაკლებ სათამაშო პრაქტიკას. რამდენადაც ვიცი, ხშირად გიწევდათ სათადარიგოთა სკამზე ყოფნა, რითი ახსნიდით?

— არა, უიღბლო ნამდვილად არა ვარ. ღვთის წყალობით, სერიოზული ტრავმა ჯერ არ მქონია, სათამაშო პრაქტიკა კი ნამდვილად მაკლია. თანაც, „შევარდენში" ისეთი მაღალი კლასის ოსტატები იყვნენ, როგორიც არიან: ვეფხია გვენცაძე, გუბაზ დოლიძე, მე კი ყოველთვის ჩრდილში ვიდექი, თუმცა, მაშინ ხომ ახალგაზრდა, გამოუცდელი გოლკიპერი ვიყავი. მოთმინებითა და შრომით თავს ვირწმუნებდი, რომ ჩემი დროც დადგებოდა, დიდი მადლობელი ვარ ბატონი ჯონი ჯანელიძის, რომელმაც საშუალება მომცა თავი გამომეჩინა.

● დღეს საზღვარგარეთის კლუბებში თამაშზე ყველა ოცნებობს, როგორ ფიქრობთ, აქაც ხომ არ დადგა თქვენი დრო?

— ჯერჯერობით არანაირი მიწვევა არ მქონია. უცხოეთის გუნდში თამაში ალბათ ჩემთვის ჯერ ნაადრევია. საერთოდ, ჯერ შინ უნდა დაამტკიცო, რომ რაღაცას წარმოადგენ, მერე შეგიძლია თავაწეული წახვიდე უცხოეთში.

● ქართველი მეკარეების „აქილევსის ქუსლი" კარიდან გამოსვლაზე თამაშია...

— სამწუხაროდ, კი. კარის ხაზზე უფრო დამაჯერებლად ვთამაშობ, ვიდრე გამოსვლაზე. ვიმედოვნებ, სისტემატური ვარჯიშით ამ ხარვეზსაც გამოვასწორებ.

● თერთმეტმეტრიანის მოგერიება, ყველა მეკარისთვის ურთულესი ამოცანაა, როგორ ფიქრობთ, რა არის გადამწყვეტი, იღბალი თუ ოსტატობა?

— პენალტის აღებასაც ნიჭი უნდა. უმჯობესია იგი ალღოსთან იყოს შეხამებული. ასეთები ცოტაა. ბევრი, მათ შორის მეც, იღბლის იმედად ვართ.

● ზოგიერთი მეკარე, შეიძლება ითქვას, პრობლემებს თავადვე იქმნის, გადამეტებულ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, ხშირად გამოდის კარიდან „მატაობს", ჯარიმებსაც ურტყამს და პენალტებსაც, ერთი სიტყვით, მეკარეცაა და მინდვრის მოთამაშეც. თქვენც გჩვევიათ ასეთი რამ?

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვალ კარიდან, თუ ჩემი გუნდი მარცხდება, შეხვედრის ბოლო წუთია და რომ იტყვიან, „დასაკარგი არაფერია". თუ გოლკიპერი კარგად ასრულებს სტანდარტული მდგომარეობიდან დარტყმას, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, გამართლებულია.

● შრომა თუ ტალანტი, რომელი უფრო მნიშვნელოვანია პროფესიონალ მეკარედ ჩამოყალიბებისთვის?

— ორივე ერთად.

● ქართული ფეხბურთის სამეკარეო სკოლაზე რას იტყოდით...

— ტრადიცია ჩინებული გვაქვს.

● მეკარეთა აღმზრდელებიდან ვის გამოყოფდით?

— ავთო ნებიერიძეს, იური სტადუხინს, დათო ონოფრიშვილს.

● მეკარეებიდან?

— გუბაზ დოლიძეს, გელა და გრიგოლ ჭანტურიებს.

● რას იტყვით იმ მოთამაშეებზე, რომლებიც ჯერ თოკავენ ნერვებს, გამუდმებით ედავებიან არბიტრებს, აპროტესტებენ მათ გადაწყვეტილებებს, რაც გაფრთხილება-გაძევებით მთავრდება...

— ეს ნაკლი მეც მჭირს, ამბიციურ ფეხბურთელთა კატეგორიას მივეკუთვნები, ემოციებს ხშირად ვერ ვიოკებ, ვედავები მსაჯს, შემდეგ კი ვნანობ, მაგრამ გვიანაა. ყვითელი ბარათიც ხშირად მიმიღია, წითელი კი მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ.

● ფოთის „კოლხეთთან" შინ დამარცხდით, აქაც გადაჭარბებულმა ემოციებმა ხომ არ იწინა თავი?

— მატჩი ურიგოდ არ გვითამაშია, ჩემი აზრით, მსაჯმა ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა, მაგრამ თავშეკავება გვმართებდა. მორიგი ორი ქულაც ამიტომ ჩამოგვაკლეს.

● ეროვნული ჩემპიონატის დონეზე რას იტყოდით...

— თუ დაბალია, მთავარი მიზეზი ბევრი ქართველი ნიჭიერი მოთამაშის გალეგიონერებაა. 20 წლამდე ფეხბურთელებს თავი გადაზრდილად ჰგონიათ, ეს ჩვენი ფეხბურთის ტრაგედიაა. მაგრამ უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება, მომიხვდებით, რასაც ვამბობ – გაჭირვებაა.

● ჯერჯერობით აუხდენელი ოცნება?

— საქართველოს ნაკრებში თამაში.

● დაბოლოს, კურიოზულს ხომ არაფერს გაიხსენებდით?

— ორი შემთხვევა მაგონდება – ჩემთვის წარუმატებელი და იღბლიანი. ერთხელ, მეტოქე ფეხბურთელმა კუთხურიდან „ჩამიხვია" ბურთი და გოლი გამიტანა. რაც შეეხება წარმატებას: საბჭოთა კავშირის პირველობა ჩატარდა იუნიორთა შორის ქალაქ როვნოში. სათადარიგოთა შორის ვიყავი. ფინალურ შეხვედრაში რუსებს ვხვდებოდით, რომლებსაც მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. ჩვენ – ფრე. მსაჯები აშკარად რუსეთის ნაკრებს სწყალობდნენ, სწორედ ამიტომ, ოცი წამით ადრე ჩვენი მეკარე – მაჭავარიანი გააძევეს. ანგარიში 0-0 იყო. შეცვლაზე მე შევედი და თერთმეტმეტრიანიც ავიღე, ეს კი გამარჯვებას ნიშნავდა. წარმოიდგინეთ იმ წუთებში რა ბედნიერი ვიყავი.

ესაუბრა
გოგა ლომიძე

„უნდა შევეჩვიოთ უმარადონოდ თამაშს"

ასე ფიქრობს არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დანიელ პასარელა. 1994 წელს, მას შემდეგ, რაც არგენტინელებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ფიასკო განიცადეს, გუნდს სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ახლო წარსულში განთქმული მცველი დანიელ პასარელა. ადრე იგი „რივერ პლეიტში" მუშაობდა და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახადა. ახალმა მწვრთნელმა ნაკრებში რკინისებური დისციპლინა შემოიღო, აკრძალა გრძელი თმის ტარება, ჰომოსექსუალიზმი. შემდეგ ის იყო, რომ არგენტინელებმა დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში.

აი რამდენიმე ნაწყვეტი პასარელას ინტერვიუდან.

● რას ელით მსოფლიო ჩემპიონატში?

— წილისყრით ძალიან კმაყოფილი ვარ. კალენდარი ხელსაყრელია — ბრძოლა პირველი ადგილისათვის უნდა გადაწყდეს ბოლო მატჩში ხორვატებთან. ამასთან, ნუ იფიქრებთ, რომ იაპონელებსა და იამაიკელებს ისე იოლად დავამარცხებთ. იამაიკელებს მწვრთნელი ბრაზილიელი ჰყავთ, იაპონელებს კი ორწელიწადნახევრის წინ მოვუგეთ ანგარიშით 5-1, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ისინი წინ წავიდნენ. ახლა ასეთი დიდი ანგარიში მხოლოდ სანატრელი თუა. წილისყრის შემდეგ მარიო ზაგალომ თქვა, რომ უნდოდა ფინალში ბრაზილია — არგენტინის მატჩი ეხილა. მეც იგივეს ვისურვებდი. მინდა ატლანტის ოლიმპიადაზე უარესად არ გამოვიდეთ. იქ ჩვენ მშვენიერი ფეხბურთი ვუჩვენეთ და ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ.

● თქვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად მიგაჩნიათ?

— არ მიყვარს ასეთი პირობითობა. „ქაღალდზე" ჩვენს ჯგუფში ყველაზე უკეთესი გუნდი გვყავს, მაგრამ ყველაფერი ეს მინდორზე უნდა დავამტკიცოთ.

● რა უფრო გაფიქრებთ მსოფლიო ჩემპიონატის წინ?

— ნიჭიერი თავდამსხმელების დიდი ჯგუფის არსებობა. გვყავს გაბრიელ ბატისტუტა — მშვენიერი მოთამაშე, თუმცა, ზოგჯერ ორ ტაიმს ვერ უძლებს. უკანასკნელ ხანებში მან, ცოტა არ იყოს, გაიუარესა თამაში. კლაუდიო კანიჯამ გაიუმჯობესა მზადყოფნა და თუ ასე გააგრძელა, საფრანგეთში გაემგზავრება. „კლავუდიო ლოპესი კარგად თამაშობს ვალენსიაში". ერნან კრესპომ „პარმაში" ტრავმა მიიღო, მაგრამ ნაკრებში მოხვედრის იმედი აქვს. მარსელო დელგადო ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ საპასპორტო მონაცემები მთავარი როდია. ამათ გარდა, არიელ ორტეგაც ხომ გვყავს. ერთი სიტყვით, ნამდვილ ოსტატებს შორის უველაზე უკეთესები უნდა შევარჩიოთ, ეს კი იოლი როდია.

● თქვენი მსოფლიო ჩემპიონატში ფერნანდო რედონდო? იგი ახლა კარგად თამაშობს მადრიდის „რეალში".

— არა მგონია. ჭერ ერთი, აქაც გრძელი თმის პრობლემაა. მეორე — მან განაცხადა, რომ არ უნდა იმ კაცთან (ე.ი. ჩემთან) იმუშაოს, რომელსაც არ ენდობა. რაღა უნდა დავუმატოთ ამას?

● რომელიმე მოთამაშის მდგომარეობა ხომ არ გაეჭვებთ?

— ეს გახლავთ 22 წლის ნახევარმცველი მარსელო გალიარდო. მან ისრაელთან პატარა ტრავმა მიიღო. ექიმები მარწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მათ ვენდობი კიდეც.

● პირველად ამ 16 წლის მანძილზე ჩემპიონატს არ ითამაშებს მარადონა.

— აქამდე არგენტინის ნაკრების თამაში მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, ახლა კი იმ 11 ფეხბურთელზეა, რომელიც მინდორზე გამოდის. უნდა ვისწავლოთ თამაში უმარადონოდ. იგი ხომ ოდესმე ფეხბურთს უნდა გამოთხოვებოდა.

● თავდამსხმელები და ნახევარმცველები საკმაოდ გყავთ. დაცვა?

— გამოცდილი მცველები გვყავს: ნესტორ სენსინი, მაურისიო პინედა, პაბლო პასი, გუსტავო ლომბარდი. ისინი იტალიისა და ესპანეთის უმაღლეს დივიზიონებში თამაშობენ.

დასასრულს, პასარელამ განაცხადა, რომ მას საშუალება ექნება მსოფლიო ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანოს და ლამაზი თამაში აჩვენოს.

FRANCE 98 INFORMATIONS

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

გერმანელები

საბჭოს ჩემპიონები

გერმანიის ნაკრები მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში არ მონაწილეობდა. 1934 წელს, მეორე ჩემპიონატში (იტალია) რომ ეთამაშა, ერთი წინასწარი შესარჩევი მატჩის ჩატარება მაინც მოუხდა, თუმცა ამას, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა თუ ჰქონდა — ლუქსემბურგის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 9-1. ფინალშიც კარგი შედეგი ჰქონდა. ჯერ დამაჯერებლად სძლია ბელგიელებს: 5-2 (სამი გოლი კონნმა გაიტანა), შემდეგ, მეოთხედფინალში — შვედებს 2-1 (ჰოჰმანის ორი გოლი), ჩეხოსლოვაკიასთან ნახევარფინალურ მატჩში კი ვერაფერი მოუხერხა ნედლის, რომელმაც 3 გოლი გაუტანა და წააგო — 1-3, მაგრამ მესამე ადგილისათვის დამატებით შეხვედრაში, საკმაოდ მოულოდნელად, სძლია ავსტრიის გუნდერტიმს — 3-2. ორჯერ გამოიჩინა თავი ლეჰნერმა, ერთხელ - კონენმა. ამ ჩემპიონატისათვის გერმანიის ნაკრები მოამზადა დოქტორმა ოტო ნერცმა, რომელსაც ეხმარებოდა შემდგომში განთქმული ზეპ ჰერბერგერი. გუნდი თამაშობდა „დუბლვეს“ სისტემით, რომელიც ნერცმა ინგლისელებისაგან გადაიღო. გამოირჩეოდნენ ახოვანი მეკარე იაკობი, შესანიშნავი მცველი იანესი, თავდამსხმელები ჰოჰმანი, ლეჰნერი (იგი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებშიც კი მოხვდა). გერმანელთა მოთამაშეს გლამლიძს ყოველი მატჩის წინ რამდენიმე წუთით ადრე შინიდან ურეკავდნენ, ფეხბურთის სათამაშოდ რომ წახვედი, შენს საწარმოს ძალიან სჭირდებიო.

მსოფლიოს მესამე ჩემპიონატის წინ, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა, გერმანელების ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. ჯერ ერთი, მას საკმაოდ ჰყავდა ჩინებული ოსტატები, მეორეც — მის შემადგენლობაში ავსტრიის ვუნდერტიმის 7 ფეხბურთელი ჩაირიცხა. მაგრამ ამჯერად ძლიერი კოლექტივის ჩამოყალიბება მწვრთნელებმა ვერ მოახერხეს. ამის მიზეზი, შეიძლება ისიც იყო, რომ ერთმანეთს ვერ შეეთვისა ტრადიციული „ვენური მაქმანები“ და ასევე ტრადიციული გერმანული ხისტი სტილი. ყველ შემთხვევაში, ჩემპიონატი გერმანელებისათვის დასაწყისშივე დამთარდა. პირველ მატჩში ისინი შვეიცარიელებს ხვდებოდნენ და წარმატება არ აეცილებათ. სინამდვილეში პარიზის „პარკ დე პრენსზე“ სულ სხვა რამ მოხდა. შეხვედრა დამატებითი დროის მიუხედავად, ფრედ 1-1 დამთავრდა. საჭირო გახდა მეორე დღეს კიდევ ხელახლა შეხვედრა. თითქოს ახლა კი გერმანელებს ორი ჭულა სად წაუვიდოდათ, მით უმეტეს, რომ პირველ ტაიმში ორი „შრალი“ გოლი გაიტანეს. მაინც რა არ ხდება ფეხბურთში? მეორე ტაიმში შვეიცარიელებმა, თუმცა 10 კაცით თამაშობდნენ, ზედიზედ ოთხი ბურთი გაიტანეს (!) და გერმანელებს ჩემპიონატის დატოვება მოუხდათ. ეს მართლაც რომ დიდი სენსაცია იყო.

მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატში (1950) გერმანიის ნაკრებები არ მონაწილეობდნენ. ამ დროისათვის ხომ უკვე ორი გერმანული სახელმწიფო და ამდენად ორი ნაკრები არსებობდა.

გერმანელი გულშემატკივრები დღემდე სიამაყით იგონებენ დიდ წარმატებას 1954 წელს შვეიცარიაში. ამ შეჯიბრების დაწყებამდე უძლიერესად უნგრეთის „დიდი გუნდი“ იყო მიჩნეული, რომელსაც წინასწარ ჩემპიონად თვლიდნენ. ამ პროგნოზებს გფრ-ს ნაკრების შესანიშნავი თამაშის გამო გამართლება არ ეწერა. როცა ამ ჩემპიონატზეა ლაპარაკი, ისტორიკოსები პირველ რიგში, გერმანელთა მწვრთნელ ზეპ ჰერბერგერს აღნიშნავენ „ბებერმა მელამ“ მშვენივრად იცოდა, თუ როგორი ძლიერები იყვნენ უნგრელები, ამიტომ მათ წინააღმდეგ სამოქმედოდ „ვერაგული“ გეგმა შეიმუშავა. საინტერესოა, რომ გერმანელები და უნგრელები თურქებთან და სამხრეთკორელებთან ერთად ჩემპიონატის მეორე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ. დავაკვირდეთ შეხვედრების შედეგებს — უნგრეთი — სამხ. კორეა 9-0, გფრ — თურქეთი 4-1, თურქეთი — სამხ. კორეა 7-0. ამის შემდეგ თითქოს გაკვირვება გამოიწვია უნგრელებისა და გერმანელების მატჩმა, რომელიც გერმანელების მძიმე დამარცხებით — 3-8 დამთავრდა. სინამდვილეში კი ჰერბერგერმა დაასვენა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მეტოქეს, ფაქტობრივად, თავგზა აუბნია და ტაქტიკური „კოზირი“ არ გამოაჩინა. რა ვუყოთ, რომ მეოთხედფინალში გასასვლელად კიდევ ერთი მატჩის გამართვა გახდა საჭირო თურქებთან. იგი გერმანელებმა იოლად მოიგეს (7-2). შეიძლება ითქვას, რომ გფრ-ს ნაკრებისათვის ნამდვილი თამაში მხოლოდ მეოთხედფინალიდან დაიწყო. აქ გერმანელებმა იუგოსლავიის ძლიერი ნაკრები დაამარცხეს — 2-0. ხორვატის ავტოგოლის შემდეგ მეორე ბურთი გერმანელთა შესანიშნავმა მარჯვენა გარემარბმა ჰელმუტ რანმა გაიტანა. ნახევარფინალში გერმანელებმა პირდაპირ გამანადგურებელი ანგარიშით 6-1 მოუგეს ავსტრიელებს (რომლებმაც ამ ჩემპიონატში საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს!). თავი გამოიჩინეს მაჭ მორლოკმა (3 გოლი), ჰმებმა ფრიც (2) და ოტმარ (1) ვალტერებმა.

კოლოსალური ინტერესი გამოიწვია ფინალურმა მატჩმა ბერნში, რომელიც დაწვრილებით არაერთხელ აღწერილა. იგი გერმანელებმა (უნგრელებს) მოუგეს 3-2 და პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. გავიხსენოთ მხოლოდ გუნდების შემადგენლობები: **გფრ** — ტურეკი, პოსიპალი, კოლმაიერი, ეკელი, ლიბრიხი, მაი, რანი, მორლოკი, ო. და ფ. ვალტერები, შეფერი. უნგრეთი — გროშიჩი, ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში, ბოჟიკი, ზაჭარიაში, ციბორი, კოშიჩი, ჰიდეგკუტი, პუშკაში, მ. ტოტი. საყურადღებოა ისიც, რომ პირველ ტაიმში უნგრელები ორი ბურთით დაწინაურდნენ (პუშკაში, ციბორი), მაგრამ შემდეგ მაინც ხელიდან გაუშვეს უპირატესობა: მორლოკმა ერთი გოლი გაიტანა, რანმა კი ორი.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ეპიზოდი. ფიფას პრუზიდენტი ჟიულ რიმე ნიკს ოქროს თასს და დიპლომს გადასცემს გერმანელთა ნაკრების კაპიტანს ფრიც ვალტერს.

1958 წლისთვის ზეპ ჰერბერგერმა, ცხადია, გადაახალისა შემადგენლობა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, გუნდის ძალამ იკლო. დიახ, ვეტერანების თამაში გაუფერულდა, ახალგაზრდებმა კი ვერ შეძლეს მათი ღირსეულად შეცვლა. ეს გერმანელებს უკვე წინასწარ, მერვედფინალურ ჯგუფში შეეტყოთ. აქ მათ მოუგეს არგენტინელებს 3-1 (ჰელმუტ რანი — 2, უკვე ზეელერია), ჩეხოსლოვაკიელებთან ფრედ 2-2 (მაჭს შეფერი, რანი) ითამაშეს, ასეთივე შედეგით დასრულდა შეხვედრა ჩრდ. ირლანდიელებთან, სადაც გოლები რანმა და ზეელერმა გაიტანეს. მეოთხედფინალში გფრ-ის ნაკრებმა იუგოსლავიელები დაამარცხა 1-0 (რანი), შემდეგ კი ნახევარფინალში მასპინძლებთან — შვედებთან დამარცხდნენ 1-3. ზეელერმა კი გაიტანა პირველი გოლი, მაგრამ...

შემდეგ კი იყო მძიმე დამარცხება ფრანგებთან მესპმე ადგილისათვის დამატებით მატჩში — 3-6. აქ გერმანელებმა ვერაფერი მოუხერხეს ჟიუსტ ფონტენს, რომელმაც 4 (!) გოლი გაიტანა. გერმანელთაგან ამ წაგებულ მატჩში გოლები გაიტანეს კარლ ცისლარჩიკმა, რანმა და შეფერმა.

მეოთხე ადგილი გერმანელებისათვის, ცხადია, გარკვეულ მარცხად ჩაითვალა. ამის შემდეგ ჰერბერგერი შეცვალა ჰელმუტ შიონმა, რომელიც წლების განმავლობაში „ბებერი მელას“ ასისტენტის როლს ასრულებდა. თვით ჰერბერგერმა მუშაობა კიოლნის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში გააგრძელა, სადაც წლების განმავლობაში ბევრი გერმანელი და საზღვარგარეთელი ფეხბურთის სპეციალისტი აღზარდა.

წინ იყო მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატი ჩილეში. თუმცა ახლა გერმანელებს ჯერ ფინალის საგზური უნდა მოეპოვებინათ. ეს მათ საკმაოდ იოლად შეძლეს მესამე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ჩრდ. ირლანდიელებსა და ბერძნებთან ბრძოლაში.

როგორ ითამაშა გფრ-ის ნაკრებმა ჩილეში? წინასწარ ჯგუფში მისი მეტოქეები იყვნენ ჩილეს, შვეიცარიისა და იტალიის გუნდები. ამჯერად გერმანელები ნამდვილად არ ბრწყინავდნენ. იტალიელებთან ფრედ 0-0 ითამაშეს, შვეიცარიელებსა და ჩილელებს მოუგეს შესაბამისად 2-1 და 2-0, მაგრამ მეოთხედფინალში იუგოსლავიელებთან დამარცხდნენ — 0-1.

გფრ-ს ნაკრების შედარებითი უკუსვლა საკმაოდ მალე შეჩერდა. 1966 წელს ინგლისში მათ შესანიშნავად მომზადებული გუნდი გააზავნეს, რომელსაც ყველა რგოლში ჰყავდა ვარსკვლავები თუ მათგან მაინცდამაინც ერთის დასახელება იქნება საჭირო, ეს გახლდათ მსოფლიო ფეხბურთის მომავალი კორიფე ფრანც ბეკენბაუერი.

გერმანელები მეორე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები იყვნენ შვეიცარიის, ესპანეთისა და არგენტინის ნაკრებები. აქ გფრ-ს ნაკრებმა შესანიშნავი თამაში აჩვენა. პირველ მატჩში „ნოკაუტით“ სძლია შვეიცარიელებს — 5-0 (ბეკენბაუერი — 2, ჰალერი — 2, ჰელდი), მეორეში არგენტინელებთან ანგარიში არ გახსნილა 0-0, მაგრამ მესამე მატჩში კვლავ გამარჯვება, ესპანელებთან 2-1 (ემერიხი, ზეელერი). ასე გავიდნენ გერმანელები მეოთხედფინალში, სადაც მძიმე მარცხი — 4-0 ადგმეს ურუგვაელებს. გოლების ავტორები კი გახდნენ ჰალერი, ბეკენბაუერი, ზეელერი და ჰელდი. ნახევარფინალში გფრ-ს ნაკრებმა სძლია 2-1 (ჰალერი, ბეკენბაუერი) საბჭოთა კავშირის ნაკრებს. კარგადაა ცნობილი ფინალური მატჩის პერიპეტიები ინგლისელებთან — 2-4 (გერმანელთაგან გოლები გაიტანეს ჰალერმა და ვებერმა), სადაც სტუმრები სულაც არ გამოიყურებოდნენ მასპინძლებზე უარესად. რომ მსჯის შეცდომები არა... მოგვყავს ფინალური მატჩის მონაწილეთა შემადგენლობები: **ინგლისი** — ბენჭსი, კოენი, უილსონი, ჯ. ჩარლტონი, მური, ბოლი, სტაილსი, ბ. ჩარლტონი, ჰერსტი, ჰანტი, პიტერსი. **გფრ** — ტილკოვსკი, ჰიოტგესი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, შულცი, ვებერი, ჰალერი, ოვერატი, ჰელდი, ზეელერი, ემერიხი.

მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ამ ჩემპიონატის შედეგად მოხვდნენ ცენტრალური მცველი შულცი და ნახევარმცველი ბეკენბაუერი.

მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატის ფინალური ნაწილი მექსიკაში დაინიშნა, თუმცა ჯერ საჭირო იყო მისი საგზურის მოპოვება. თითქოს ეს რა პრობლემა უნდა ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორისათვის. სინამდვილე კი სულ სხვანაირი აღმოჩნდა: გერმანელებს აშკარად გაუჭირდათ ამ ჯებირის გადალახვა. ორ მატჩში კვიპროსელებისა და ავსტრიელების წინააღმდეგ გამარჯვება მხოლოდ უკანასკნელ წუთზე მოიპოვეს, განთქმულ სნაიპერ გერდ მიულერის დარტყმების წყალობით. მას შემდეგ, რაც მატჩი გლაზგოში შოტლანდიელებთან ფრედ 1-1 დასრულდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა განმეორებით მატჩს ჰქონდა. აქ ლიბუდას გოლის წყალობით გფრ-ს ნაკრებმა მოიგო შეხვედრა და საგზურიც მოიპოვა. შესარჩევ თამაშებში მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებიც, მაგრამ მის ჯგუფში უძლიერესები იტალიელები იყვნენ.

მეხიკოს „მარია ბეზაღლის“ სასტუმროში ჩატარებულმა წრილსყრამ გფრ-ს ნაკრები ფინალის მეოთხე წინასწარ ჯგუფში მოახვედრა, სადაც მისი მეტოქეები არც ისე ძლიერები იყვნენ — პერუს, ბულგარეთისა და მაროკოს ნაკრებები. ამ ზღუდის გადალახვა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა — მთავარი იყო, რა მოხდებოდა შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ გერმანელების თამაშმა ამ ჩემპიონატში ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. მარჯვენა მცველ ფოგთსთან წარმატებით თამაში მეტისმეტად ძნელი იყო, "რადგან ბერტი მოჭმედებდა სწრაფად, ტექნიკურად, გონივრულად. „მწვრთნელის“ როლს შესანიშნავად ასრულებდა შნელინგერი, ასევე ძლიერი იყო სტოპერი ფიხტელი. დაცვის მარცხენა ფრთა შედარებით სუსტად ითვლებოდა, რადგან არც ჰიოტგესი და არც მისი შემცვლელი პაცკე მაღალი კლასის ოსტატებს არ მიეკუთვნებოდნენ. შუა ხაზზე დიდი ხელოვნებით გამოირჩეოდნენ ბეკენბაუერი და ოვერატი, ჰალერი კი მათ მაინც ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხებოდა ზეელერსა და მაულერს, ეს ორი ოშიაითი სნაიპერი ნებისმიერ დაცვას უჭრელდა თავსატეხს.

წინასწარ ჯგუფში გერმანელებმა სამივე მატჩი მოიგეს: მაროკოელებთან 2-1 (ზეელერი, მაულერი), ბულგარელებთან 5-2 (მაულერი — 3, ერთი პენალტით, ლიბუდა, ზეელერი), პერუსთან 3-1 (მაულერი — 2, ზეელერი). მეტისმეტად დრამატულად განვითარდა მეოთხედფინალური მატჩი ინგლისელებთან. ორივე მეტოქემ მეტად მაღალი კლასის თამაში აჩვენა. 70-ე წუთისათვის ანგარიში იყო 2-0 ინგლისელების სასარგებლოდ, რომლებიც, საკმაოდ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ამ დროისათვის ინგლისელთა მწვრთნელ ალფ რამსეის, როგორც შემდეგ გამოირკვა, გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდა. მან ბობი ჩარლტონი დაასვენა და ბელით შეცვალა. სანამ ჩარლტონი მინდორზე იყო, იგი ანეიტრალებდა ბეკენბაუერს, შეტევაში ჩართვის საშუალებას არ აძლევდა. ახლა კი ბეკენბაუერს უკვე ვეღარავინ აკავებდა. მან შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა, ხოლო შეცვლაზე „შემოსულმა გრაბოვსკიმ არევდარევა შეიტანა ინგლისელების რიგებში. 81-ე წუთზე ზეელერმა გაათანაბარა ანგარიში, ხოლო დამატებით დროში მიულერმა გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს 3-2! ეს იყო რევანში წინა მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხებისათვის.

ნახევარფინალური მატჩი გფრ-სა და იტალიის ნაკრებებს შორის, ბევრი მიმომხილველის აზრით, „ნახტომი ოცდამეერთე საუკუნეში“ იყო. მართალია, ძირითად დროში რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა. მერვე წუთზე ბონინსენიამ გახსნა ანგარიში, რის შემდეგ იტალიელებმა დაიხიეს უკან და თითქმის მატჩის ბოლომდე წარმატებით იცავდნენ თავს გერმანელები მწვავედ უტევდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მცველი პაცკე თავდამსხმელ ჰელდით შეცვალეს, შნელინგერი კი წინ გადაისროლეს. 90-ე წუთზე გრაბოვსკის გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო შნელინგერმა და „მაკრატელათი“ გადააგზავნა ალბერტოზის კარში, 1-1. დაინიშნა დამატებითი დრო. მწვრთნელმა ფერუჩიო ვალკარეჯიმ მაცოლა რივერათი შეცვალა. ბეკენბაუერი დაშავდა, მაგრამ განაგრძო თამაში. 94-ე წუთზე მიულერმა თავისიანები წინ გაიყვანა, მცველმა ბურგნიჩმა გაათანაბრა ანგარიში. 103-ე წუთზე რივემ დაწინაურა იტალიელები, მიულერმა კვლავ გაათანაბრა. 110-ე წუთზე რივერამ ვირტუოზულად ითამაშა. მან ბონინსენიასაგან ზუსტი გადაცემა მიიღო, ბურთიანად გვერდი აუარა მცველებს, გავიდა მეკარე მაიერთან პირისპირ, რომელიც ცრუმოძრაობით აიძულა მარჯვნივ გადამხტარიყო, ბურთი კი დინჯად შეაგორა მარცხენა კუთხეში. ეს თავისებური შედევრი იყო! 4-3 — გაიმარჯვეს იტალიელებმა.

ამის შემდეგ მეტად დაღლილი გერმანელები მესამე ადგილისათვის დამატებით მატჩში შეხვდნენ ურუგვაელებს და თუმცა ძნელი წუთები გადაიტანეს, ოვერატის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მაინც შეძლეს გამარჯვება. რაც შეეხება მსოფლიოს იდეალურ ნაკრებს, მასში ერთბაშად სამი გერმანელი მოხვდა: ბეკენბაუერი, ოვერატი და მიულერი.

მსოფლიოს მეათე ჩემპიონატის ჩატარების უფლება უკვე დასავლეთ გერმანიამ მიიღო. ამასთან, ფინალში გამოსვლის უფლება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმაც მოიპოვა.

პირველ წინასწარ ჯგუფში დასავლეთ ბერლინსა და ჰამბურგში გფრ-ს, გდრ-ს, ჩილესა და ავსტრალიის ნაკრებები თამაშობდნენ. გფრ-ის ნაკრებმა ჯერ ჩილელებს მოუგო 1-0 (ბრაიტნერი), შემდეგ ავსტრალიელებსაც 3-0 (ოვერატი, კულმანი, მიულერი). და თუმცა შემდეგ მოულოდნელად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან დამარცხდა — 0-1, მაინც გავიდა შემდეგ ეტაპზე. ახლა მას იუგოსლავიის, შვეციისა და პოლონეთის ნაკრებებთან უნდა ებრძოლა და სამი გამარჯვებაც იზეიმა: იუგოსლავიელები დაამარცხა ანგარიშით 2-0 (ბრაიტნერი, მიულერი). შვედები 4-2 (ოვერატი, ბონჰოფი, გრაბოვსკი, ჰიორნესი პენალტით), პოლონელები 1-0 (მიულერი).

ახლა გერმანელები ფინალში ჰოლანდიელებს უნდა შეხვედროდნენ, რომლებმაც მანამდე ხუთი შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ 1 დაასრულეს ფრედ. დიახ, იოჰან კრუიფის ნაკრები მეტად ძლიერი იყო.

ფინალური მატჩი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: **გფრ** — მაიერი, ფოგთსი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ჰიორნესი, გრაბოვსკი, ოვერატი, მიულერი, ჰიოლცენბაინი. **ჰოლანდია** — იონგბლოდი, სურბიერი, ჰაანი, კროლი, რისბერგენი (დე იონგი), იანსენი, ვან ჰანეგემი, ნეისკენსი, რეპი, კრუიფი, რენსენბრინკი (რ. ვან დერ კერკჰოფი).

თამაში არც კი იყო დაწყებული, რომ ფოგთსმა წააქცია კრუიფი და ნეისკენსმა ზუსტად გამოიყენა პენალტი. 25-ე წუთზე უკვე იანსენმა წააქცია ჰიოლცენბაინი. ახლა ბრაიტნერმა პენალტით გაათანაბარა ანგარიში. გადამწყვეტი გოლი, როგორც ყოველთვის, გერდ მიულერმა გაიტანა და გერმანელები მეორედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

როგორ შეასრულეს გფრ-ის ფეხბურთელებმა არგენტინული ტანგო 1978 წელს? სამხრეთ ამერიკაში გამოსვლა მათ სერიოზულ მარცხად ჩაეთვალათ. აი ყველა მათი მატჩის ანგარიში: პოლონელებთან 0-0, მაროკოელებთან 6-0 (რუმენიგე — 2, ფლოე — 2, დიტერ და ჰანსი მიულერები — თითო), ტუნისთან 0-0, იტალიელებთან 0-0, ჰოლანდიელებთან 2-2 (აბრამჩიკი, დ. მიულერი), ავსტრიელებთან 2-3 (რუმენიგე, იოლცენბაინი).

დადგა 1982 წელი. მეთორმეტე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები ესპანეთმა მიიღო. გფრ-ს ნაკრებმა იგი ალეგრელებთან კვორიოზული წაგებით 1-2 (რუმენიგე) დაიწყო, მაგრამ მაინც გაიმარჯვა პირველ ეტაპზე. ამისათვის მას ჯერ ჩილელებს: 4-1 (რუმენიგე — 3, რაინდერსი), ხოლო შემდეგ ავსტრიელებს 1-0 (ჰრუბეში) დამარცხება დასჭირდა. მეორე ეტაპზე გერმანელებმა ჯერ ინგლისელებთან ითამაშეს ფრედ 0-0, შემდეგ კი ესპანელებს სძლიეს — 2-1 (ლიტბარსკი, ფიშერი). ამით მათ ფრანგებთან ნახევარფინალში შეხვედრის უფლება მოიპოვეს, რომლებსაც უმძაფრეს მატჩში მხოლოდ პენალტების სერიით სძლიეს — 8-7. ფინალში მათ იტალიელები ელოდნენ.

აი ფინალში მონაწილე ნაკრებების შემადგენლობა: **იტალია** — ძოფი, ჯენტილე, კოლოვატი, შირეა, კაბრინი, ტარდელი, ორიალი, კონტი, როსი, გრაციანი (ალტობელი, კაუზიო).

გფრ — შუმახერი, კალცი, კ. ჰ. ფიორსტერი, შტილიკე, ბ. ფიორსტერი, ბრაგელი, დრემლერი (ჰრუბეში), ბრაიტნერი, რუმენიგე (ჰ. მიულერი), ლიტბარსკი, ფიშერი.

რა შეიძლება ითქვას ამ ფინალურ მატჩზე? იტალიელებს უდავო უპირატესობა ჰქონდათ, მათი სნაიპერის, პაოლო როსის ნეიტრალიზება ვერ მოხერხდა, მაშინ, როდესაც 18 წლის ბერგომი ღირსეულად გაუმკლავდა გერმანელთა ლიდერ რუმენიგეს. 3-1. იტალიელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. გერმანელთაგან ეს ერთადერთი საპასუხო გოლი ბრაიტნერმა გაიტანა, მეტოქეთაგან კი თავი როსიმ, ტარდელიმ და ალტობელიმ გამოიჩინეს. გერმანელთა მწვ-

1974 წ. სენსაციური ანგარიშით დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მატჩი გდრ-სა და გფრ-ის ნაკრებებს შორის — 1-0. სურათზე (წინა პლანზე, მარცხნიდან): შპარვასერი (გოლის ავტორი) — ჰიოტგესი, ფოგთსი და მეკარე მაიერი ამაოდ ცდილობენ სიტუაციის გაწმენდას.

თასების თასი

ფინალი

ჩელსი (ინგლისი) – შტუტგარტი (გერმანია) 1-0

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ლებევი, კლარკი, პოიეტი (ნიუტონი, 82) დიბერი, უაიზი, გრენვილი, დი მატეო, ვიალი, ფლო (ძოლა, 81)

შტუტგარტი: ვოლფარტი, შნაიდერი (უნდრესი, 56), ბერტოლდი, პოშნერი, იაკონი, ჰაგნერი (რისტიჩი, 80), ჰაბერი (ჯორჯევიჩი, 76), სოლდო, ბალაკოვი, ბობიჩი, აკპობორი.

გოლი: ძოლა (72).

გაძევება: პეტრესკუ, პოშნერი.

მატჩი სტოკჰოლმში, „რასუნდას“ იმ სტადიონზე შედგა, სადაც 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობდა. მისმა შედეგმა ძლიერ გაახარა ბრიტანელები, დაახლოებით ისე, როგორც ზუსტად 17 წლის წინათ ახალგაზრდა თბილისელებმა, თასების თასი რომ მოიპოვეს.

ყველაფერი იტალიელი ვარსკვლავის ჯანფრანკო ძოლას გამოყვანიდან დაიწყო. ამ სეზონში ის ჩემპიონატის მატჩების მიმდინარეობისას ხუთჯერ გატყდა ფეხი, ამიტომ ბევრი ფიქრობდა, რომ ის ფინალში ვერ ითამაშებდა. ძოლა ფეხზე დადგა და ბრძოლაში ჩაება. ის ნახევარმცველი, რომელიც ბოლო ხანებში ხშირად ცვლიდა ფორვარდ ზოლას, ამ მატჩში ნამდვილ ლიდერად გამოვიდა. ის ბურთს ინახავდა, ასწორებდა თამაშს, ხშირად ბურთს ფლანგებზე აგზავნიდა, ხოლო ხანდახან ფორვარდებსაც ეხმარებოდა. ასე მოხდა 72-ე წუთზე, როდესაც ძოლამ ბურთი ჯერ ფლანგზე გადაუგზავნა ფლოს, შემდეგ კი ფლომ ბურთი ცენტრში დაბრუნებული ძოლას მიაწოდა. ძოლამ ბურთი ისე ზუსტად გაუტანა ვოლფარტს, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდ ბურთის ქსელში გაგზავნა დარჩა.

ბურთის ქსელში გაგზავნა დარჩა.

ბურთის ქსელში გაგზავნა დარჩა.

სხვადასხვა მერიდიანზე

ჩოგბურთი. იტალიის ღია პირველობის ცენტრალურ შეხვედრაში ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა სძლია თანამემამულე მსოფლიოს პირველ ჩოგანს პიტ სამპრასს. ჩილელმა მარსელო როსმა 6-3, 6-1 მოუგო ავსტრიელ ტომას მუსტერს. ჰოლანდიელმა კრაიჩეკმა რუს კაფელნიკოვს სძლია: ხოლო ახალზელანდიელმა სტივენმა ესპანელი კარლოს მოია გამოთიშა პირველობას.

ამასობაში ქალთა შორის გერმანიის ღია ჩემპიონატში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა 6-1, 6-3 სძლია ჰორვატ ივა მაილის. რუსმა კურნიკოვამ 6-2, 6-4 მოუგო ესპანელ არანტა ვიკარიო სანჩესს. ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა ფრანგი ტესტუდი გამოთიშა გადამაშებას, ხოლო იაპონელმა სიგიამამ — გერმანელი გოეტცერი.

ᲮᲝᲙᲔᲘ. ნჰლ-ში გაიმართა კონფერენციების ნახევარფინალური შეხვედრები. დასავლეთში „დალას სთარზმა" 3-1 მოუგო „ედმონტონ ოილერზს" და სერიაში 3-1 დაწინაურდა. „დალასს" 1 გამარჯვება აკლია, რათა მოიგოს სერიალი. აღმოსავლეთის კონფერენციაში „ვაშინგტონ კაპიტალზმა" 2-0 სძლია „ოტავა სენატორს" და ისიც წინაა სერიალში 3-1. „ბუფალო სეიბრზი" — „მონრეალ კანადიენსი" და „დეტროიტ რედ ვინგზი" — „სენტ ლუის ბლიუზი" თბილისის დროით გვიან ღამით დამთავრდა. „ბუფალო" 3-0 იგებს სერიალს, ხოლო რუსების ფეტისოვის, ფიოდოროვის, იგორ ლარიონოვის, კოზლოვის „რედ ვინგზი" 2-1 წინაა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ნბა-ში დასრულდა კონფერენციის ნახევარფინალები. ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა. ბოლო დღეს „ჩიკაგო ბულზმა" 93-84 სძლია „შარლოტ ჰორნეთზს", ხოლო „ინდიანა პეისერზმა" თავის ინდიანაპოლისში 99:88 მოუგო „ნიუ იორი ნიჭზს". ასე რომ, აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში „ჩიკაგო" და „ინდიანა" ითამაშებენ, დასავლეთში კი — შაკილ ო'ნილის „ლეიკერსი" და კარლ მელოუნის „ჯაზი". გამორიცხული არაა შარშანდელ ფინალის („ჩიკაგო — „იუტა") განმეორება.

ᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

რა ხდება საინტერესო სპორტულ სამყაროში

„გაახალგაზრდავებული" სბეროიდები

მᲐᲦᲐᲚᲘ შედეგების მისაღწევად ამერიკელი ბავშვები 10 წლიდან იწყებენ სტეროიდების მიღებას. ანონიმური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საშუალო კლასების 965 მოსწავლიდან 2,7 პროცენტი ეტანება ანობოლიკურ სტეროიდებს. სპორტსმენი გოგონები ისევე ხმარობენ მას, როგორც ჭაბუკები. ახალი გამოკვლევების მონაცემები ძალზე აღელვებთ ექიმებს, ვინაიდან სტეროიდები ძალის მომატებასთან ერთად, საზიანოა ღვიძლისათვის, ანელებს მოზარდის ზრდას და ხელს უწყობს სხვა, გვარდით მოვლენებს.

„ბᲐᲜᲗ" ᲩᲐᲘᲪᲕᲘᲗ, ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲝ!

მᲐᲚᲔ კატარის დედაქალაქ დოჰში გაიმართება მძლეოსანთა „გრან-პრის" სერიის ტურნირი. ამ მუსულმანურ სახელმწიფოში გამოვლენ ქალებიც.

თუმცა, მათ საკმაოდ გაუჭირდებათ!

— ისინი ტოპებსა და ბიკინებში ვერ გამოვლენ, — თქვა ტურნირის კოორდინატორმა ჯ. ნოხანმა, — ისლამის კანონი, იცით, საკმაოდ მკაცრია ასულთა მიმართ. მაგრამ, რამდენადმე, წავალთ დათმობაზე. ნებას დავრთავთ მათ გრძელ მაისურებსა და სპორტულ კოსტუმებში იასპარეზონ.

— და მაინც, ეს დიდი პროგრესია, — დარწმუნებულია ნიაგელ ელ მუტავაკელი, პირველი მუსულმანი ქალი, რომელმაც 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა 400 მეტრზე რბენაში. ეს ისტორიული მომენტი იქნება, გარდა ყველაფრისა, აქაური ქალებს დართვენ ნებას შეჯიბრება „ცოცხლად" იხილონ სტადიონზე.

სხვათა შორის, ქალები მხოლოდ ექვს სახეობაში გამოვლენ. ეს, ალბათ, სავსებით საკმარისი იქნება, რომ 2006 წლის აზიის თამაშების ჩატარების უფლება მოიპოვოს კატარმა.

„მᲧᲘᲤᲔ" ᲒᲐᲛᲝᲦᲒᲐ

ᲝᲠᲒᲐᲖᲘᲡ ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში ჩეხი სპორტსმენი იან ჟელეზნი ალბათ წლევანდელ სეზონს „გამოტოვებს". ეს დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენი დრო დასჭირდება „სატყორცნ" მარჯვენა ფეხის ოპერაციის შემდგომ განკურნებას. ბარსელონისა და ატლანტის თამაშების „ოქროსმტყორცნელი" ვარჯიშზე უხერხულად დაეცა და მხარი დაუშავდა. ოპერაცია პრაღის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთეს.

ნᲐᲒᲐᲜᲝ „ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲣᲦᲒᲔᲑᲐ"

ᲡᲝᲯ-ᲘᲡ პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა იაპონიაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ნაგანოში თეთრი ოლიმპიადის წარმატება დიდად დაეხმარება ოსაკას 2008 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძელი რომ გახდეს.

პრეზიდენტს ოსაკას მერისათვის რჩევაც მიუცია თუ როგორ „წარმოაჩინოს" თავისი ქალაქი. თურმე, გაბედულად უნდა გამოიყენონ იაპონური კულტურის თვითმყოფადობა. შეხვედრის მონაწილეთ ძალიან გაუკვირდათ, რომ სოკის მეთაური კონკრეტულ რჩევას აძლევს, კონკრეტულ პრეტენდენტს.

— ეს ასე მესმის: სამარანჩო თვლის, რომ ოსაკას გამარჯვების რეალური შანსი აქვს, — განაცხადა ქალაქის მერმა ისომურამ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲚᲘᲡ

მᲔᲢᲐᲓ უსიამოვნო კონფლიქტშია გახვეული პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი, ბირთვისმკვრელი ვლადისლავ კომარი, რომელსაც სასამართლომ ათთვიანი პატიმრობა და 1500 ზლოტი ჯარიმა მიუსაჯა. მაგრამ გაითვალისწინეს მისი დამსახურება და 2 თვით გადაუვადეს სასჯელის მოხდა.

მისი დანაშაული ის არის, რომ კანონის გვერდის ავლით, პოლონეთში ყალბი საბუთებით შეჰქონდა „გაურკვეველი წარმოშობის" ავტომანქანები ამერიკიდან. სპორტსმენი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხება და სურს გაასაჩიროს.

რისი იმედით?

ნᲑᲐ-ს „ჩიუსტონ როკეტსის" მცველი მარიო ელის „მერსედესი" გზაზე გააჩერეს მძარცველებმა, იარაღი მიუშვირეს თვით კალათბურთელს, სახეში აფურთხეს და მანქანა გაიტაცეს. კაცმა რომ თქვას, გაუგებარია, რისი იმედით მოიქცნენ ასე ყაჩაღები, — გამოცხადდება მანქანის ძებნა, საერთოდ, ტეხასის გზებზე იშვიათად შეგხვდებათ „მერსედესი", მარიოს კი ისიც დაამშვიდებს, რომ ჰოსპიტალიზაცია მას არ დასჭირვებია.

მსოფლიოს რჩეულ ჩოგანთა კლასიფიკაცია და მათი ფლევანდელი შემოსავალი
(აშშ დოლარებში)

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

ჩოგბურთელი	ქვეყ	შემოსავ
1. პიტ სამპრასი (აშშ)	3774	305.164
2. პეტერ კორდა (ჩეხეთი)	3499	728.511
3. მარსელო რიოსი (ჩილე)	3200	1.036.918
4. პატრიკ რაფტერი (შვეიცარია)	3190	296.495
5. გრეგ რუზედკი (ინგლისი)	3094	528.898
6. ჯეისონ კაფელნიკოვი (რუსეთი)	2904	404.965
7. ანდრა ბირიკჩინი (შვეიცარია)	2614	360.906
8. ალექს კორეჯა (ესპანეთი)	2487	540.030
9. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2364	224.364
10. კაროლ კუშერა (ლიტვა,ესტონ)	2311	348.878

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6194	1.165.704
2. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3963	507.100
3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	3939	266.562
4. ამანდა კუტცერი (სამხ. აფრიკა)	2944	289.549
5. არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპან.)	2798	264.388
6. მონიკა სელეში (აშშ)	2644	104.102
7. ვენუს უილიამსი (აშშ)	2615	484.710
8. მარი პირსი (საფრანგეთი)	2333	238.032
9. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2297	356.081
10. ირინა სპირლეა (რუმინეთი)	2177	125.203

შენიშვნა: მონაცემები მოცემულია 10 მაისის მდგომარეობით

ᲐᲛᲣᲠ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲐᲪᲕᲘᲚᲘ



მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მთელი გორი შესძრა. ამ ქვეყნიდან 60 წლისა წავიდა შესანიშნავი პიროვნება, რომელიც გამორჩეული ადამიანური ღირსებებით, სამაგალითო ცხოვრებით და ვაჟკაცური ურთიერთობებით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. თავად ყოფილი სპორტსმენი, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჭაბუკებში, არმიაში სამსახურისას ამერიკავკასიის სამგზის ჩემპიონი, მთელი ცხოვრება ფალავნებთან ტრიალებდა. ეს მისი სამყარო იყო და საკუთარ ოჯახად თვლიდა, ამ სამყაროში მისგან იღებდნენ ადამიანებთან ურთიერთობისა და თანადგომის მაგალითს, როგორც ზრდასრული, ისე მოზარდი სპორტსმენები. გორის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე იყო, მაგრამ უოველთვის გამონახავდა დროს შეევლო დარბაზში, მოენახულებინა მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები, მოესმინა მათთვის, გულთან ახლოს მიეტანა პრობლემები, რომელიც ბოლო წლებში ასე მოურავლდა კიდეც ქართულ სპორტს. რაც მთავარია, მისგან უოველთვის მოელოდნენ და იღებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას, ბევრჯერ გაჰყოლია უცხოეთში ქართველ ძიუდოისტებს. ჭეშმარიტმა ქველმოქმედმა, გორის საჭიდაო დარბაზი საკუთარი სახსრებით გადახურა თუნუქით და ეს სპორტული ბაზა მზადყოფნაში დახვდა გორში ჩამოსულ ამერიკელ ფალავნებს. უოველთვის მასპინძლობდა სტუმარ გუნდებს. 1994 წელს მთელმა გორმა ერთ დღეს უფასოდ მიიღო პური, რომლის საფასური მთლიანად ამურმა დაფარა. განსაკუთრებით ეხმარებოდა ხელმოკლე ოჯახებს, უმწეო ადამიანებს. იყო მეგობრებისთვის თავდადებული, შესანიშნავი მეოჯახე, ამაყობდა ცოლ-შვილით, შვილიშვილებით.

მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო, შენს სახელს და ამაგს არასოდეს დაივიწყებენ გორელები, ვინც ასე ალალად უყვარდი.

ძ. ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ

დაკრძალვა 19 მაისს, ქ. გორში.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ხელბურთის ფედერაცია და ვეტერანი ხელბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ გამოჩენილ ხელბურთელ ჯემალ ცერცვაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ჯემალ ცერცვაძეს დედის გარდაცვალების გამო.

ქ. ფოთის სპორტკომიტეტი, ქ. ფოთის ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის „კოლხეთის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უოფილი წევრი და ამავე კლუბის უოფილი უფროსი მწვრთნელი, ქ. ფოთის ფეხბურთის კლუბ „ფაზისის" ვიცეპრეზიდენტი, ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲣᲯᲣᲮᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 19 მაისს, ქ. ფოთში.

საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი" სამძიმარს უცხადებს შენგელი ფიცხელაურს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამომცემლობა „სამშობლოს" საამქროს უფროსი

ᲡᲚᲐᲕᲐ ᲑᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს შენგელი ფიცხელაურს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს შენგელი ფიცხელაურს მამის გარდაცვალების გამო.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ო. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (თბილისი)



a b c d e f g h

ᲨᲐᲛᲐᲗᲘ 4 ᲡᲕᲚᲐᲨᲘ

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: მიზნისკენ მივყავართ შორეულ შესავალს 1. ე:e8.

1. ...მფc4 2. ე:d8 მფb3 3. ე:c8,
1. ...მფd4 2. მფb5 მფc3 3. ე:d8,
1. ...მფc5 2. ე:d2! მფc4 3. ე:a3,
1. ...მფc6 2. ე:d2 მფb7 3. ე:c2,
1. ...მფd6 2. ე:d2+ მფc7 3. მფb5.

ᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲗ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲔᲜ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘ — ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲒᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲔᲑᲐ!

ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი ემსახურება პროფესიულ სპორტსმენებს, სპორტსკოლების აღსაზრდელებს. სპორტში გაჯანსაღებისთვის მომეცადინეებს; ყველას, ვისაც ესაჭიროება აღდგენითი თერაპია (რეაბილიტაცია): დამბლა, ფარესი, გადატანილი ინფარქტი, მოტეხილობა და სხვა ტრავმები, დამწვრობა, იშიორადიკულიტი ათრიტი, ართროზი, ოსტეოხონდროზი, ახოვანების დეფექტი და სკოლიოზური დაავადება. ცენტრთან ფუნქციონირებს მასაჟისტის მოსამზადებელი ორთვიანი კურსები.

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.



16 V. შაბათი. საქართველოს ტელევიზია: I არხი. „დრიბლინგი" (15.25). *II არხი.* „ავტოსპორტი" (20.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). ***ევრიკა".*** „სტუმარი" (20.30), ***ტვ-7.*** ფეხბურთი (22.30). *საქართველოს ხმა.* საზოგადოთო ჟურნალი (11.35). „მსოფლიოს სტადიონებზე". (20.00; 22.30). ***ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".*** ჰოკეი (10.00; 16.55). კალათბურთი: ნბა, პლეი-ოფი (13.00). ***OPT-1.*** ჰოკეი (16.55). ***PTP.*** ფრენბურთი: რუსეთი-პოლონეთი (15.55). ***HTB.*** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (0.55). ***HTB плюс спорт.*** ფეხბურთი (9.40; 20.10; 22.25). კალათბურთი (13.00). კრივი (15.40). ჰოკეი (16.55). ჭადრაკი (22.00). ავტოსპორტი (0.50). ცხენოსნობა (1.05). *NBC.* სუპერსპორტი (14.00; 14.30; 3.00). გოლფი (15.00). *EUROSPORT.* ველოსპორტი (12.00). მოტოსპორტი (13.00; 15.00; 1.00). ავტოსპორტი (14.00). ჩოგბურთი (18.30, 20.00). კრივი (2.00).

17 მაისი. კვირა. საქართველოს ტელევიზია: II პროგრამა. სუპერმატჩი (20.05). ***რუსთავი-2.*** „ვილეტ-სპორტი" (20.30). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.15). ***ტვ-7.*** ფეხბურთი (22.30). *საქართველოს ხმა.* „მსოფლიოს სტადიონებზე". (11.15; 19.30). ნჰლ-ის მიმოხილვა (18.40). ***ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".*** ფეხბურთი (10.00; 10.20). ჰოკეი (16.55). ***OPT.*** ჰოკეი (17.00). ***PTP.*** რუსული ორთაბრძოლა (1.05). ***TV-6.*** სპორტული კვირა (16.25). ***РЕН TV.*** ფეხბურთი (15.30), სპორტკურიერი (15.00; 20.30). ***НТВ плюс спорт.*** ფეხბურთი (9.55; 10.20; 19.30); მოტოსპორტი (13.10). ჰოკეი (16.55). კრივი (0.50) *EUROSPORT.* მოტოსპორტი (10.30; 12.30); ფეხბურთი (19.00; 21.00). კრივი (2.30).

18 მაისი. ორშაბათი. საქართველოს ტელევიზია: I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (23.30). ***II არხი.*** გოლი (20.00). ***ობერა.*** „ბურთი და მოედანი" (21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (11.30; 19.40). ***ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".*** ფიფას ჟურნალი (14.10). მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები (14.40), ***PTP.*** ავტოსპორტი (17.40). ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.35). ***TV6.*** კვირის სპორტი (10.55). ***ТНТ.*** საფეხბურთო კლუბი (19.00), ***АСТ.*** სპორტი (12.10; 20.10), ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთი (7.30, 12.30). კრივი (8.10, 23.00). ფეხბურთი (9.25; 14.10.). ნბა-ს მიმოხილვა (11.20). ჰოკეი (16.00). სპორტული ცეკვები (19.30). ჭადრაკი (22.30), კარტინგი (23.55). *NBC.* სუპერსპორტი (23.00). *EUROSPORT.* აფროსნობა (10.30). წყალშიხტომა (11.00). ფეხბურთი (12.30; 14.00, 15.30, 21.00). ავტოსპორტი (16.30). ველორბოლა (17.30). ჩოგბურთი (19.00). კრივი (23.30; 2.30). ფეხბურთი. ევროგოლები (1.00).

19 მაისი. სამშაბათი. საქართველოს ტელევიზია. პირველი არხი. „ასპარეზი" (22.35). ***ობერა.*** „ბურთი და მოედანი". (21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***ევრიკა.*** „სპორტული კურიოზები" (19.10). ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (11.20; 16.20; 21.45). ***ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".*** მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები (14.40). ნბა-ს ჩემპიონატი (21.45). ***OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (14.25). ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.35), *REN TV.* სპორტკურიერი (0.25). ***АСТ.*** სპორტი (12.10). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.10), ჭადრაკი (8.25). სპორტული ცეკვები (8.55). ჰოკეი (11.15; 15.25). მაგიდის ჩოგბურთი (12.35), ფეხბურთი (21.15; 23.55). კარტინგი (0.55). *NBC.* სუპერსპორტი (23.00). *EUROSPORT.* ფეხბურთი (12.30; 21.00; 22.30; 1.30). ავტოსპორტი (16.30). ველორბოლა (17.30). ჩოგბურთი (19.00) კრივი (23.30).

ᲯᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 5. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადავო რეგიონი, 6. ლეგენდარული ქართველი ფალავანი, 8. მარადონას სამშობლო, 11. დუშმანი, მოქიშპე..., 14. მიწის ნაკერი, 15. სავარჯიშო იარაღი, 16. წმინდა წიგნების კრებული, 17. პერსონაჟი „კავკასიური ცარცის წრიდან", 21. ცნობილი შვედი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 22. „ჩელსის" მოთამაშე-მწვრთნელი, 23. შეჯიბრების მონაკვეთი, 26. ცნობილი ჰოლანდიელი ფორვარდი, 27. რეკლამა თბილისის სახელმწიფო ცირკის თავზე (ცნობილი ფირმა), 28. ექიმის კლიენტი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პირობა-საწინდარი, 2. სახელდახელოდ თქმული ლექსი, 3. სარბიელი, 4. პოპულარული კინოსერიალი, 8. შესავლები ბარათი, 9. დანაშაული ანუ..., 10. დემოკრატიის მოშრე, 12. დაწინაურება ანუ..., 13. გურჯაანის საფეხბურთო კლუბი, 18. უცხოეთში დაბადებული და მოღვაწე ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 19. აზერბაიჯანის პრეზიდენტი, 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 24. მხარე რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, 25. ძალოსნობის პროგრამა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 3. შაბერი, 8. ენრიკე, 9. „სტიაუა", 10. ჯა, 11. პერუცი, 13. ნადალი, 16. მეჯირი, 18. „იაჯსი", 22. სერხი, 23. სკალა, 29. ნევილი, 31. „ალანა", 37. „მერანი", 38. „ოვიედო", 39 რაი, 40. „ნისტრუ", 41. ფინდი, 42. იაკობსი. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. შერინგემი, 2. შირერი, 3. შელია, 4. ნეფსკენსი, 5. ილინი, 6. პიკლზი, 7. ჟაირზინიო, 12. უელსი, 14. დანია, 17. იარნა, 19. აიალა, 24. ანდერსონი, 26. კლინსმანი, 28. „სამპდორია", 30. იაშკა, 31. ამორი, 33. „ტვენტე", 34. ზიდანი, 35. ვიერი, 36. კონტი

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ: 15-25. ნოდია, 15-27. „ნანტი", 20-32. გიგზი, 21-32. ეტორი.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული ხისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშ